პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 იანვარი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 17 (15534)

# ხუთწლედის მესამე წელს — დამკვრელური შრომა

## იკისრეს — უნდა შეასრულონ კიდეც

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტურმა შეჯიბრებამ ჭეშმარიტად საყოველთაო და სახალხო მასშტაბი მოიპოვა. იგი გადაიქცა ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ცხოველმყოფელ წყაროდ.

შეჯიბრება არის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიური პოლიტიკის რეალიზაციის მძლავრი საშუალება, საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვის ქმედითი მეთოდი.

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ძალღონეს არ იშურებენ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალებათა შესასრულებლად, მთელი ძალით გაისმის მოწოდება: კიდევ უფრო გავაძლიეროთ ყურადღება შეჯიბრებისადმი, დროულად აღმოვფხვრათ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ მოიწონეს წითელწყაროს, ყაზბეგის, გაგრის, საგარეჯოსა და დუშეთის რაიონების მოწინავე ფერმების, ბრიგადების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების ინიციატივა, რომლებიც ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და 1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

მათ მოუწოდეს ყველა მშრომელს ბეჯითად იბრძოლონ ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი გამცდენებს — ყველას, ვინც არ უფრთხილდება მუშათა კლასის ღირსებას. ამჟამად რესპუბლიკაში ყველგან კარგი სტარტი აიღეს იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ აქციონ, წარმატებით დაამთავრონ მეცხრე ხუთწლედის მესამე წელი. ბევრგან თანმიმდევრულად ახორციელებენ შეჯიბრების ნაცად პრინციპებს, ავანგარდში არიან კომუნისტები. პარტიის რაიონული კომიტეტები საქმის ღრმა ცოდნით, ყოველდღიურად მუშაობენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის.

ზოგან ვალდებულებას კარგს ღებულობენ, შემდეგ კი ივიწყებენ მის შესრულებას.

მარცვლეულის მოსავლიანობის სიუხვის საქმეში ყოველ წელს გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ წალენჯიხის, ახალქალაქის, წალკის, ცხინვალის და ზოგიერთ სხვა რაიონებში. სინამდვილეში მათ უკანასკნელ წლებში ერთხელაც არ შეუსრულებიათ მარცვლეულის მოსავლიანობის საქმეში ნაკისრი ვალდებულება. ეს იმის შედეგიც არის, რომ ისინი შეჯიბრებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ.

საინტერესოა, რა მაგალითის მოცემა შეუძლია ბოგდანოვკის რაიონს, როცა აქაურმა მხვნელ-მთესველებმა მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის საგაზაფხულო კულტურების დასათესად თესლის მომზადების საქმეში ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულეს. მათ თავთავიანი და პარკოსანი კულტურების თესლი მზად უნდა ჰქონოდათ 34.979 ცენტნერი. ფაქტიურად გამოყოფილი აქვთ 21.467 ცენტნერი და აქედანაც 4.650 ცენტნერი სათესლე მასალა უკონდიციოა.

შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულების შედეგად საგაზაფხულო კულტურების დასათესად ჯერ კიდევ მთლიანი კონდიციური თესლი არ აქვთ ბორჯომის, საგარეჯოს, წალკისა და სხვა რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ბევრ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მებოსტნეთა სოციალისტური შეჯიბრება ფორმალური ხასიათისაა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ გორის, წყალტუბოს, კასპის, წალკის, გარდაბნის, აბაშის, სამტრედიისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ასორტიმენტის მიხედვით ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გეგმებს ვერ ასრულებენ.

დმანისის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში იკლო წველადობამ. არ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, მაღალია თვითღირებულება. პარტიის რაიონული კომიტეტის, რაისაბჭოს აღმასკომის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია ის, რომ სოფელ ჯავის კოლმეურნეობაში სოციალისტურ შეჯიბრებას ყურადღება არ ექცევა. ხუთი წელია, რაც კოლმეურნეობა ვითომდა ეჯიბრება მეზობელ განთიადის კოლმეურნეობას. ეს მაშინ, როცა განთიადელებმა ამის შესახებ არაფერი არ იციან.

პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის მთავარია საკვები ბაზა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ცუდი მდგომარეობაა ყაზბეგის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზუგდიდის, თიანეთის რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, რომლებსაც უხეში საკვების დამზადების გეგმა მხოლოდ 50-60 პროცენტით აქვთ შესრულებული. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებით ადიგენის, კასპის, საგარეჯოს, ახალციხის, ბოლნისის, წალკის რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს სილოსის დამზადების გეგმა ერთიორად უნდა ჰქონდეთ შესრულებული. ფაქტიურად მათ სიტყვა ქარს გაატანეს და აღნიშნული დავალება სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული. განა ასე დავახვავებთ მეცხოველეობის პროდუქტებს?

ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ დასახელებული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები ღრმად არ სწავლობენ სოციალისტური შეჯიბრების შინაარსს, სათანადოდ არ ითვალისწინებენ თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს. შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკაში აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველვყოთ შეჯიბრების საჯაროობა, მისი შედეგების შესადარობა, საზოგადოებრივი კონტროლი ნაკისრი ვალდებულებათა საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, ამასთან ეპიზოდური, გარკვეულ ვადებთან დაკავშირებული კი არა, არამედ მუდმივი, განუწყვეტელი კონტროლი წლის პირველი დღეებიდან მის დამლევამდე. უნდა ვხედავდეთ როგორც მოწინავე კოლექტივებს, ისე იმათ, ვინც ვერ აღწევს დასახულ მიჯნებს. მძაფრად უნდა ვამხილებდეთ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ფაქტებს შეჯიბრების ორგანიზაციაში, ვცდილობდეთ გავაბედითოთ ჩამორჩენილნი.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მთლიანად გამოიყენონ შრომისა და შემოქმედებითი აქტივობის განვითარების მნიშვნელოვანი გამოცდილება, ამასთან გაითვალისწინონ მეცნიერულ-ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც სოფლის მეურნეობის ყველა სფეროს მოიცავს.

პრაქტიკა გვასწავლის, რომ შეჯიბრებას მხოლოდ მაშინ მოაქვს კარგი შედეგი, როცა პარტიის რაიონული კომიტეტები საქმის ღრმა ცოდნით ყოველდღიურად მუშაობენ ამ საკითხზე. უნდა უზრუნველვყოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი სოციალისტურ შეჯიბრებაში, თანამიმდევრულად განვახორციელოთ შეჯიბრების ორგანიზაციის ლენინური პრინციპები. მუშაობის შედეგების ფართო საჯაროობა და შესადარობა, გამოცდილების პრაქტიკულად გამეორების შესაძლებლობა, ამხანაგური ურთიერთდახმარება და მოწინავეთა ღირსეული წახალისება ვალდებულებათა წარმატებით შესრულების საწინდარია.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა, პირიანობა — ეს არის თვისება, რომელსაც პარტია უნერგავს თვითეულ საბჭოთა ადამიანს. შეჯიბრების მსვლელობაში განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ იმათ, ვინც დაპირებას ადვილად იძლევა, იმისათვის კი თავს არ იწუხებს, რომ რეალურ საქმედ აქციოს იგი. პარტიულმა კომიტეტებმა ყველგან უნდა შექმნან მომთხოვნელობის, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის მაღალი პარტიული პასუხისმგებლობის, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სოფლის მეურნეობის საკითხებზე ზონალური თათბირების მოკლე ანგარიშებს. ეს თათბირები მიეძღვნა როგორც სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებას, ისე იმ ნაკლოვანებათა გამოვლინებას, რომლებიც ხელს უშლიან ახალი წლის უხვი მოსავლის მიღებას.

როგორ მუშაობენ სარემონტო სახელოსნოები, როგორ ამზადებენ, არემონტებენ ტექნიკას გაზაფხულისათვის, რა პირობებში ხდება სასუქების შეტანა ყანებში, პლანტაციებში, ბაღებში, ვენახებში... მოიმარაგეს თუ არა კონდიცირებული თესლი, როგორ აზამთრებენ პირუტყვს, ექმნებათ თუ არა რეზერვები? — აი საკითხები, რომელთა შესახებ საქმიანად მსჯელობენ ზონალურ თათბირებზე.

ამ თათბირებიდან ადგილებზე დაბრუნებულმა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უნდა იზრუნონ ყველა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, იმისათვის, რომ ამთავითვე ჩაუყარონ საფუძველი მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს შეჯიბრებით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი მიაჩნიათ სამშობლოს წინაშე შრომითი კოლექტივების მტკიცე დაპირებად. ეს არის ნამდვილი გარანტია და საწინდარი იმისა, რომ ეს ვალდებულებანი წარმატებით განხორციელდება.

## მოწინავე ნავსადგურში

ფოთი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო ჭიშკარის — ფოთის ნავსადგურის (უფროსი გ. ვატაევი) კოლექტივმა გასული წლის ტვირთბრუნვის ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულა. წლის ბოლომდე დამატებით 300 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაამუშავა. მნიშვნელოვნად შემცირდა წუნი, გემების მოცდენა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 17,2 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შემცირდა 7,5 პროცენტით. ზეგეგმითმა მოგებამ 72 ათას მანეთს გადააჭარბა. რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი მანეთისა 33 ათასი მანეთი შეადგინა.

აქ წარმატებით დაიწყეს ახალი წლის პირველი დღეები. 10 დღეში კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და ამწეთა ეკიპაჟებმა ნავსადგურში შემოსული ყველა გემი ვადაზე ადრე დაამუშავეს.

ენერგიულად შრომობენ მეამწეები გ. გუგუშვილი, ბ. ღურწკაია, გ. ფარცვანია, ჟ. თოფურია, ჰ. ნარსია და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 110-120 პროცენტით ასრულებენ. მეამწეებმა ვალდებულება იკისრეს ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში შეასრულონ და იანვრის გეგმა 25 იანვრისათვის გაანაღდონ.

## გრაფიკს უსწრებენ

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). ხუთწლედის მესამე წლის გაზრდილი გეგმის შესრულებას შეუდგა დედაქალაქის უხუცესი საწარმოს — ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის (დირექტორი ა. მასხარაშვილი) კოლექტივი, რომელმაც მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელიწადი, 4 დღით ადრე შეასრულა წლის პროგრამა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 95 ათასი მანეთის პროდუქცია — 1 მოტორვაგონიანი სექცია, 1 სამგზავრო ვაგონი, 42 წევის ძრავი, 170 ტონა ნაჭედი ლითონი.

ელექტროვაგონშემკეთებლები გრაფიკის გამსწრებ შრომით ტემპს ახალ წელსაც ინარჩუნებენ. მაგალითად, № 2 მოტორვაგონიანი სექციების საამქროს (უფროსი ვ. წიკლაური) კოლექტივმა ერთი დღით ადრე გაუსწრო გრაფიკს და ვადამდე დაამზადა ორი მოტორვაგონიანი სექცია; სამჭედლო საამქროს კოლექტივმა კი, რომელსაც დ. ჯიქია ხელმძღვანელობს, იანვრის 15 დღეში გამოუშვა 51 ტონა ნაჭედი ლითონი, გეგმა კი 43 ტონის დამზადებას ითვალისწინებდა; იანვრის პირველი ორი დეკადის დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ელექტრო მანქანებისა და ურიკების საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც ვ. კაციტაძე და პ. ბატონისაშვილი ხელმძღვანელობენ.

## ფეიქართა მაგალითი

თბილისი. („კომუნისტის" კორ.) სოციალისტურ შეჯიბრებას თანდათან აფართოებენ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ფეიქრები. ახალი წლიდან აქ გადაწყვიტეს პრაქტიკაში შემოიღონ შეჯიბრების შედეგების ყოველკვირეული შეჯამება და გამოავლინონ კომბინატის წარმოებათა, საამქროთა, საოსტატოთა და ცალკეულ ფეიქართა შორის გამარჯვებულნი. იანვრის პირველ ორ დეკადაში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის საპატიო სახელი მოიპოვა კომბინატის მატყლის პირველადი დამუშავების წარმოებამ, რომელსაც ამირან ლომიშვილი ხელმძღვანელობს. წარმოების მრეცხავები და დამხარისხებლები თავდადებით შრომობენ და გრაფიკს უსწრებენ, მარტო განვლილ 15 დღეში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ტონისა გარეცხეს 102 ტონა მატყლი. აღსანიშნავია, რომ ეს წარმოება კომბინატში საუკეთესო იყო გასული წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებლებითაც, კვარტალის გეგმა 146,8 პროცენტით იქნა შესრულებული.

წარმოებაში მაღალია თვითეული მუშის მიერ ნორმების შესრულების მაჩვენებლებიც. მაგალითად, მრეცხავები ტ. დოლიძე, ე. ელჩანინა, დამხარისხებელი ქ. ნაკაიძე დღიურ დავალებებს 110-137 პროცენტით ასრულებენ. საერთოდ მაუდ-კამვოლის კომბინატში ახლა ბევრი ფეიქარი შრომობს დამკვრელურად. ნოვატორობის მაგალითებს აჩვენებენ საქსოვი წარმოების მქსოველები ლ. სპიცინა, ნ. რაიბული, ნ. პოსოშვილი, მაუდის სართავი წარმოების მრთველები ნ. ბიბილოვა, ნ. ქავთარაძე, ახალბედა მრთველები ნ. ხატიაშვილი და ლ. ტაბატაძე.

## შრომითი ნობათი

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ლაგოდეხის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის და წარმოების გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 4.206 ტონაზე მეტი თამბაქო ნაცვლად 3.950 ტონისა. ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობა საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ბაბუნაშვილმა.

## მინის ტარის ოსტატები

ქუთაისი. სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული, საიუბილეო წელი მინის ტარის ქარხანაში. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 101,8 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 101 პროცენტით გაანაღდეს.

ახალი წლის დასაწყისშივე მინისტარელებმა გადიდებული ვალდებულება იკისრეს და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მისი შესრულებისათვის. ვალდებულება ითვალისწინებს, რომ გასულ წელთან შედარებით ხუთწლედის მესამე წელს წარმოებულ იქნება 5 მილიონი ცალი ქილა და 30 ათასი მანეთის ბროლის ნაწარმი.

ქარხანაში განხორციელდება მთელი რიგი სიახლენი, ბროლის წარმოება შეუდგება სამი ახალი სახის ბროლის ჭურჭლის გამოშვებას, დაიზოგება 100 ტონა ნედლეული; მიღებული იქნება 10 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

შეჯიბრებამ მოიცვა ქარხნის ყველა საამქრო, ცვლა, ბრიგადა, ყველა მუშა. იანვრის ნახევარი თვის საერთო პროდუქციის დავალებანი გადაჭარბებით — 100,2 პროცენტით შესრულდა. ამ ხნის მანძილზე ბროლის ნაწარმის გამოშვების დავალება განაღდებულია 105 პროცენტით, მინის ქილების — 103,5 პროცენტით, ხოლო სააფთიაქო ჭურჭლის — 101,9 პროცენტით.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ სამანქანე-სალუმელე, სააფთიაქო ჭურჭლის და ბროლის საამქროთა კოლექტივები, რომელთაც ი. კვინჰინაძე, ს. გიორგობიანი და ნ. შატირიშვილი ხელმძღვანელობენ.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## მათ თავი ისახელეს

წლიდან წლამდე ზრდის პროდუქციის გამოშვებას ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და, კერძოდ, მისი სათავო საწარმო. ის წარმატებები, რომლებიც მქსოველებმა ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში მოიპოვეს, კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგიც იყო. არაერთი ინიციატივა დაიბადა სათავო საწარმოსა თუ მისი ფილიალების საამქროებში. მქსოველებმა აითვისეს და მთელი დატვირთვით ამუშავებენ 100-ზე მეტ უახლეს მანქანას, რომლებიც უკანასკნელ ხანს დამონტაჟდა, გააფართოეს მომსახურების ზონები, პირველად ამ გაერთიანებაში აითვისეს ნედლეულის პარტიონული ქსელვაგახამების მეტად პროგრესული მეთოდი, რამაც მქსოველებს წლიურად 37 ათასი მანეთი დაუზოგა.

მქსოველებმა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.



სურათზე: ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს მოსამზადებელი საამქროს მოწინავე მქსოველები ლიანა სიჭინავა (მარცხნივ) და ნათელა მეტრეველი. ახალგაზრდა მქსოველები ახლა ყოველდღიურ დავალებებს 135-140 პროცენტით ასრულებენ.

გ. გოგოხიას ფოტო

# უზრუნველვყოთ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის უხვი მოსავალი

## ზონალური თათბირები სოფლის მეურნეობის საკითხებზე

გურჯაანი. ზამთრის ამ მოკლე დღეებში სოფლის მშრომელებს ბევრი საზრუნავი აქვთ. სწორედ ახლა უნდა გავაკეთოთ ბევრი რამ, რათა უზრუნველვყოთ 1973 წლის, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის უხვი მოსავალი, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა. დაძაბულად შრომობენ სარემონტო სახელოსნოებში, სადაც ამზადებენ ტექნიკას გაზაფხულისათვის, მიმდინარეობს სასუქების გატანა ყანებში, პლანტაციებში, ბაღებში, ვენახებში, უზრუნველყოფენ თესლის ფონდების სათეს კონდიციებს, ფერმებში ცდილობენ სანიმუშოდ დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აჯამებენ გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს, ავლენენ ნაკლოვანებებს, რათა რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრან ისინი, ამოქმედებენ წარმოების რეზერვებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ, რომ სახელმწიფოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტები, შეუფერხებლად მოამარაგონ ამ პროდუქტებით მოსახლეობა.

ამ საკითხებს მიეძღვნა კახეთის რაიონებისა და თიანეთის რაიონის ზონის პარტიული და სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელიც გურჯაანში გაიმართა.

თათბირზე იყვნენ პარტიის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოთა უფროსები, „საქსოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებათა უფროსები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ.

ინფორმაცია გააკეთეს პარტიის გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, თიანეთის რაიკომების პირველმა მდივნებმა შ. ბასილაშვილმა, დ. გელაშვილმა, ა. ბატიაშვილმა ო. საბაშვილმა, გ. ლოლაძემ, ა. დავითაშვილმა, პ. ბაბუნაშვილმა, ნ. მგელიაშვილმა, პარტიის ახმეტის რაიკომის მეორე მდივანმა დ. ნაროზაულმა, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ე. ჯავახიშვილმა.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ქობულიამ ილაპარაკა სამელიორაციო სამუშაოთა მდგომარეობისა და განვითარების შესახებ, ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობის, სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების შესახებ.

გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა სოფლის მშრომელთა მისწრაფება შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, გასული წლის ნოემბერში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე დასახული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. სოფლის მშრომელები ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ყოველმხრივ მოამზადონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებისათვის, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მოსავალს, ყველგან ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: „ხუთწლედის მესამე წელს — დამკვრელური შრომა!".

თათბირს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ საჭიროა გაძლიერდეს პარტიულ-ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა მასებში, დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი, ამაღლდეს პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, დამყარდეს მტკიცე სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. შევარდნაძემ.

სოხუმი. აქ გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. მოხსენება 1972 წლის შედეგების, 1973 წლისათვის ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისა და პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრების ამოცანათა შესახებ გააკეთა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

თათბირზე საქმის მდგომარეობა გააანალიზეს და მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს პარტიის გალის, გუდაუთის, გულრიფშის, სოხუმის, ოჩამჩირის, გაგრის რაიკომების პირველმა მდივნებმა ლ. რიგვავამ, ვ. ტანიამ, გ. დავითაიამ, ს. ავიძბამ, ბ. ადლეიბამ, ლ. ღურწკაიამ, სოფელ ქოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს" პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ხ. ვეკუამ, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ა. ლვინჯილიამ. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელს გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში მეჩაიეებმა, მეთამბაქოეებმა, მეაბრეშუმეებმა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მეცხოველეობის მუშაკებსა და მებოსტნეებზე. სოფლის მშრომელები მთელ ძალ-ღონეს ახმარენ იმას, რომ ხუთწლედის მესამე წელს მიიღონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, შეასრულონ გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაღდება მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმებისა და ვალდებულებების რეალიზაციისათვის. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ილვწიან, რათა მეტი ქმედითობა მიანიჭონ შეჯიბრების შემოქმედებითს ხასიათს, მიაღწიონ კარგ მაჩვენებლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. დიდი მუშაობა წარმოებს სოციალისტური წესრიგის დამყარებისათვის. პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სოფლად ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ახლა მიმართულია იმისაკენ, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ტექნიკა, გულდასმით შეამოწმონ თესლი, თანამიმდევრულად განახორციელონ აგროტექნიკური ღონისძიებანი, წარმატებით გამოაზამთრონ პირუტყვი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს ვალდებულებანი ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სამტრედია. 1973 წელი გადავაქციოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების დამკვრელური შრომის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარების, გეგმების, დავალებებისა და ვალდებულებების უთუოდ შესრულების წლად! ამ აზრით იყო გამსჭვალული ყველა გამოსვლა იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რაიონების პარტიული და სამეურნეო აქტივის ზონალურ თათბირზე.

პარტიის სამტრედიის რაიკომის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონული აღმასკომების თავმჯდომარენი, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, „საქსოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებათა უფროსები, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოთა უფროსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ინსპექტორები, რაიონული სტატისტიკური ორგანოების მუშაკები. მათ განიხილეს საკითხი 1972 წლის სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების, 1973 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და პირუტყვის ორგანიზებულად გამოზამთრების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირზე გამოვიდნენ პარტიის სამტრედიის, ვანის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის რაიკომების პირველი მდივნები ნ. კოხრეიძე, გ. უიფიანი, გ. მელქაძე, შ. კოხოძე, მ. ბიბილაშვილი, ა. გოგლიძე, მ. გვიშიანი, ლ. გუგავა, საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. გოცირიძე, პარტიის წყალტუბოს რაკომის მეორე მდივანი თ. ვაშაკიძე, სამტრედიის ხორცკომბინატის დირექტორი ვ. ყაჭეიშვილი, სამტრედიის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ა. გახოკიძე, ქუთაისის ხორცკომბინატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზ. ცინცაძე, ვანის რაიონის სოფელ შუამთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. მილორავა, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი რ. მაღლაკელიძე.

ფერმის მშრომელთა შორის ფართოვდება შეჯიბრება მეცხოველეობის მეტი პროდუქტებისათვის. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კისრულობენ მეცხოველეობის, მეჩაიეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეხილეობის, მემარცვლეობის განვითარების ახალ გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლედის მესამე წლისათვის.

ამასთან ლაპარაკი იყო იმაზეც, რაც ხელს უშლის სოფლის მშრომელებს უფრო კარგი შედეგები მიიპოვონ, გამოავლინეს მთელი რიგი მეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები. ორატორებმა გააკრიტიკეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, „საქფრინველმრეწვის" ტრესტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი: „საქკონსერვხილბოსტანი", „საქსოფლტექნიკის" რესპუბლიკური გაერთიანება, რომლებიც ნელა წყვეტენ საჭირბოროტო, აქტუალურ საკითხებს ადგილებზე.

თათბირის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

(საქინფორმი).

# ყოველდღიური მზრუნველობა — კომკავშირს

[illegible]

51 კომკავშირელიდან უმრავლესობა ჩაბმულია უშუალოდ წარმოებაში, ოცდაათამდე მწყემსია, ხუთი კომკავშირელი გოგონა — ფერმის ძროხების მწველავი.

ცნობილია, რომ მეცხვარეობა სოფლის მეურნეობაში ყველაზე შრომატევადი და ხიფათიანი დარგია. იგი ადამიანისაგან ფიზიკურ გამძლეობას და სულიერ სისპეტაკეს მოითხოვს. ყველას როდი შეუძლია იყოს მეცხვარე, გადალახოს ის სიძნელეები, რომლებიც მწყემსს ყოველდღიურ შრომაში ხვდება.

მიუხედავად იმისა, ჩვენი მწყემსების უმრავლესობა ახალგაზრდობაა. ისინი, თავდადებულ შრომასთან ერთად, შესანიშნავ ტრადიციას არ ივიწყებენ და წიგნსაც მეგობრობენ, ბევრი ახალგაზრდა დაუსწრებლად სწავლობს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში მოხუც მწყემსებს აღარ აწუხებთ იმაზე ფიქრი, თუ მომავალში ვინ აიღებს მამაპაპისეულ კომბალს, ვინ გაუძღვება ფარებს. მეცხვარეობის რთული და ვაჟკაცური საქმე ახალგაზრდობის სა-

[illegible] ...ლის წარმოების გადიდებისათვის. საამაყო მაჩვენებლებს აღწევს მწველავთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც მერი აფციაური ხელმძღვანელობს. შარშან თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია გაცილებით მეტი რძე, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. გადამეტებით სრულდება რძის წარმოების დავალება მიმდინარე წელსაც. გეგმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ კომკავშირელი მწველავები ნინო აფციაური, ნათელა გიგაური და სხვები.

ასეთები ჩვენთან ბევრნი არიან.

ზაფხულის სიცხე-პაპანაქებას არ შეუშინდნენ ახალგაზრდები — საკვებმომპოვებელი ბრიგადის წევრები და ნოღაეთის საძოვრებზე საკუთარი ძალებით 1.390 ტონაზე მეტი თივა დაამზადეს. ამ საქმეს სათავეში ედგა ახალგაზრდა კომუნისტი მ. წიკლაური, ვაჟკაცურად იშრომეს ახალგაზრდა ტრაქტორისტებმა ა. გიგაურმა და თ. ჰიკაიძემ, ავტომძღოლებმა ზ. ჩიტაურმა, ზ. წიკლაურმა, გ. ჩიტაურმა და სხვებმა. ისინი ყველანი კომკავშირელები არიან.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციას მიღებული აქვს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო სიგელი.

ყველაფერი ეს თავისთავად როდი მოსულა. ერთ დროს ახალგაზრდები, მათ შორის კომკავშირელებიც, ნაკლებად მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. ისინი სოფლის ყველა სიკეთით სარგებლობდნენ, მაგრამ სოფლისათვის სასარგებლო შრომას გაურბოდნენ, თავისი უკეთურობით გულს უტეხდნენ პატიოსან მშრომელებს. იყო საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევები. ბევრი ახალგაზრდა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სოფელს ტოვებდა და იოლ საქმეს ეძებდა. მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა მაშინ, როცა კომკავშირულმა ორგანიზაციამ მუშაობა გამოაცოცხლა, ამის საფუძველი კი იყო პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური მზრუნველობა კომკავშირისადმი, თვითეული კომკავშირელისადმი.

საკავშირო ალკკ წესდებაში აღნიშნულია, რომ პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია მუშაობს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დახმარებით. დიახ, პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და საქმიანი დახმარება არის კომკავშირის ძლიერების წყარო. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა ნახევარზე მეტი ახალგაზრდობაა და, იმაზე, თუ როგორ წარმართავენ კომუნისტები კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას და ახალგაზრდობის აღზრდას, დამოკიდებულია არა მარტო მათი წარმატება, არამედ კოლმეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაც.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია განვამტკიცოთ პარტიული ბირთვი არჩევითს კომკავშირულ ორგანოებში, ამასთან უზრუნველვყოთ თვითეული კომუნისტის აქტიური მონაწილეობა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თვითეულ ახალგაზრდას ჩავუნერგოთ შრომისადმი სიყვარული, ჩვენი დიადი იდეების ერთგულება, შეურიგებლობა წარსულის მავნე გადმონაშთებისადმი, პირდაპირობა და შეუპოვრობა, როცა საქმე სიმართლის დაცვას ეხება.

სწორად მოვიქეცით, რომ კომკავშირული ორგანიზაციის მდივნობაზე რეკომენდაცია მივეცით ახალგაზრდა კომუნისტს ი. გოგიშვილს, რომელმაც გაამართლა ჩვენი ნდობა. იგი დიდი მონდომებით და ახალგაზრდული გატაცებით ხელმძღვანელობს დაკისრებულ საქმეს, მუშაობაში იჩენს ინიციატივას, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს ახალგაზრდობას საკოლმეურნეო შრომაში. პარტიული ორგანიზაცია კი თავის მხრივ ყურადღებასა და დახმარებას არ აკლებს კომკავშირულ ორგანიზაციას. პარტიულ კრებებზე ხშირად ვმსჯელობთ კომკავშირული ორგანიზაციის მოღვაწეობის სხვადასხვა საკითხზე. ვსახავთ ღონისძიებებს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას ეამაყება, რომ ქართლელი მწყემსი ო. კვდილაშვილი მონაწილეობდა სკკპ XXIV ყრილობის მუშაობაში, როგორც მისი დელეგატი. იგი ამჟამად დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, არის კომკავშირის დუშეთის რაიკომის, კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტბიუროს წევრი, აქტიურად მონაწილეობს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ახალგაზრდობის შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას, რაშიაც გადამწყვეტი სიტყვა კომკავშირის კომიტეტს ეკუთვნის. იგი მოწოდებულია იყოს სოფლის ახალგაზრდობის გონივრული და შინაარსიანი დასვენების ორგანიზატორი. სასიხარულოა, რომ ახლა გვაქვს კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო კლუბი და სტაციონარული კინოდანადგარი, მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მარტონი ვერას გავხდებით, თუ სათანადო ორგანოებიც არ დაგვეხმარებიან. ჩვენთან იშვიათად იმართება საღამო-წარმოდგენები, კონცერტები, დაგვიანებით მოაქვთ ახალი საინტერესო კინოფილმები. შარშან შემოდგომაზე დუშეთის სარაიონო კულტსახლთან არსებული ანსამბლის „არაგველების" ხელმძღვანელები დაგვპირდნენ, კონცერტს გაგიმართავთო, აფიშებიც გამოვაკარით, ახალგაზრდობა მათ გამოჩენას გვიან ღამემდე ელოდა, მაგრამ ამაოდ. დუშელებმა მოგვატყუეს.

მშრომელებს დაამახსოვრდათ პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელმაც კოლმეურნეობის აქტივთან, კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან ერთად განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის შედეგები, კრებაზე აღინიშნა სასიხარულო ფაქტი, რომ უკანასკნელი 8-10 წლის მანძილზე ჩვენს კოლმეურნეობასა და სასოფლო საბჭოში არ ყოფილა სამართალდარღვევის არც ერთი სერიოზული შემთხვევა. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა დავამკვიდროთ უსასტიკესი საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე, ყველგან და ყველაფერში.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში პირად მაგალითს კომკავშირელები იძლევიან. მათი ავტორიტეტის ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ თანდათანობით იზრდება კომკავშირული ორგანიზაცია. საგულისხმოა, რომ შარშან პარტიაში 7 მოწინავე კომკავშირელი მივიღეთ. როგორც მოგახსენეთ, კომკავშირელთა დიდი უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია ნამდვილად არის პარტიული ორგანიზაციის საიმედო თანაშემწე. განსაკუთრებით საინტერესო საქმიანობას ეწევიან „კომკავშირული პროჟექტორის" საგუშაგოები და რაზმები, რომლებიც ებრძვიან უყაირათობასა და უთაურობას, ხელს უწყობენ წარმოებაში მაღალი კულტურის დანერგვას.

ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შემსწავლელი წრე, რომელსაც ორგანიზაციის მდივანი ი. გოგიშვილი ხელმძღვანელობს. პარტიული ორგანიზაცია ცდილობს, რომ წრე ნორმალურად მუშაობდეს და რაც შეიძლება მეტ ცოდნას აძლევდეს ახალგაზრდობას.

შარშან შემოდგომაზე ზეიმით გავისტუმრეთ ჩვენი მეცხვარეები ნოღაეთის ზამთრის საძოვრებზე. სასიხარულო იყო, რომ ძველ მწყემსებს, რომლებსაც სიძნელეთა გადალახვისა და შრომის რთული პირობების [illegible] დიდი გამოცდილება აქვთ, მხარში ამოუდგნენ ახალბედა მწყემსები — კომკავშირელები გ. ქავთარაძე, და ი. წიკლაური, რომლებმაც საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს.

ცხვრის საშემოდგომო მგზავრობა ნორმალურად ჩატარდა, ახლა ჩვენი „ცხვარ-მეცხვარენი" კასპიისპირეთში ზამთრის შემოტევას ებრძვიან. მიუხედავად ბუნების სიმკაცრისა, საქმე კარგად მიდის, ცხვარი უდანაკარგოდ ზამთრობს, ახალგაზრდობა პირობას იძლევა ყოველ 100 ნერბზე მიიღოს და გაზარდოს 97 ბატკანი ნაცვლად 85-ისა.

[illegible] რაიონის ახალგაზრდა მეცხვარეთა შეკრებაზე, რომელიც ჩვენთან ცხვრის გამგზავრების წინ მოეწყო და რომელსაც ორასზე მეტი ახალგაზრდა დაესწრო. შეკრებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცხვარეებისადმი.

შეკრებაზე მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მეცხვარეთა შრომას. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გუდამაყრელი, ფასანაურელი, მაქართელი, მლეთელი, მალაროსკარელი, ანანურელი და მთიულეთელი მწყემსები...

სასიხარულოა, რომ დაჯილდოებულთა შორის ყველაზე მაღალი ჯილდო — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელი — მიიღო ჩვენი კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ.

**ი. ჩიტაური,**
დუშეთის რაიონის სოფელ ქართლის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

## პარტიული ცხოვრება

### პარტაქტივი სწავლობს

ცხაკაია. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი, რომელზეც წაკითხულ იქნა მოხსენებები ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებზე, პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებაზე.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ნ. ჭითანავას მოხსენების თემა იყო — რაიონის პარტორგანიზაციის ამოცანები სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში, პარტიის რაიკომის მეორე მდივნის მ. აბშილავას მოხსენებისა — პირველადი პარტორგანიზაციის სამუშაო გეგმა, პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკა, საორგანიზაციო განყოფილების გამგის ი. ცირამუას მოხსენებისა — პარტორგანიზაციების მუშაობა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე მოწყობის უზრუნველსაყოფად.

მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე რაიკომის მუშაკებმა რ. ჯანჯღავამ, ლ. რატიანმა, დ. კუტჭავამ, პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებაზე ინფორმაციებით გამოვიდნენ: საქვაჭრობის ადგილობრივი განყოფილების, გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები ვ. გრიგოლია, ტ. წურწუმია და ა. პაჭკორია.

# დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა

**სოხუმი, 19 იანვარი,** (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა აფხაზეთის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს, კულტურისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა კრება. კრების მონაწილეებმა მოისმინეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. გიგიბერიას მოხსენება ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობებისა და ტრანსპორტის გასული წლის მუშაობის შედეგებისა და ახალი, 1973 წლის ამოცანების შესახებ, საქმიანად განიხილეს თავიანთი შესაძლებლობანი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

გასულ წელს, აღინიშნა კრებაზე, აფხაზეთში გამოშვებულ იქნა ... პროცენტით მეტი მრეწველობის პროდუქცია, ვიდრე წინა წელს. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებანი შესრულებულია 103 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა — 105 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა ქვანახშირის მოპოვების, ელექტროენერგიის, კონსერვების, ღვინის, საკონდიტრო ნაწარმის, ფერმენტირებული თამბაქოს, პირველადი გადამუშავების ჩაის წარმოების სახელმწიფო გეგმები. ამასთანავე 15 სამრეწველო საწარმოს არ შეუსრულებია წლიური დავალებანი, რის შედეგადაც ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ ქვეყანას 3,3 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო.

საიუბილეო შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებზე, მუშაობის სიძნელეებსა და ნაკლოვანებებზე, ახალ სამეურნეო წელს დასახულ წარმოების შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკეს კრებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯოხთაბერიძემ, № 16 სამშენებლო ტრესტის მუშამ ა. მაკაროვმა, ქვანახშირის გაერთიანება „ტყვარჩელის" გენერალურმა დირექტორმა ლ. რატიანმა, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" დირექტორმა ა. მიქაძემ, № 5 საავტომობილო ტრესტის მმართველმა ვ. ოდინცოვმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს კოლექტივების 1973 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ხურკინი.



ლაგოდეხის რაიონის „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების მერემონტეებმა ხუთწლედის მესამე წელს უკვე რამდენიმე ტრაქტორი შეაკეთეს. ლაგოდეხელი მექანიზატორები მიმდინარე წელს სხვადასხვა ხაზის 180 ტრაქტორს და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს შეაკეთებენ, რომლებიც 16 კოლმეურნეობას, ერთ საბჭოთა მეურნეობას, სატყეო მეურნეობას, სახელმწიფო სანერგეს და რაიონის სხვა მეურნეობებს მოემსახურება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მერემონტეებს რობინზონ კაპანაძეს და ნოდარ გაფრინდაშვილს წესრიგში მოჰყავთ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორები.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ვაზის სიყვარული გვიკარნახებს...

## მევენახეობის აქტუალური სადღეისო საკითხები

ცნობილია, რომ საქართველოში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ძირითადი, მაპროფილებელი და ამასთან უძველესი დარგია. სწორედ საქართველოა კულტურული მევენახეობის ერთ-ერთი სამშობლო. საქართველოს ვენახების საუკეთესო ჯიშები (რქაწითელი, საფერავი და სხვ.) სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ გასავრცელებლად. ღვინოებს ხომ ბადალი არ მოეპოვებოდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ადრე მისი ექსპორტი საზღვარგარეთ ყოველწლიურად მატულობდა.

მევენახეობას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. მთელი რიგი რაიონებისათვის მევენახეობა შემოსავლის ძირითადი წყაროა, შემოსავლის 60-70 პროცენტი მევენახეობის პროდუქციაზე მოდის. სწორედ ეს განაპირობებს იმ დიდ ყურადღებას, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ ამ ძვირფასი დარგისადმი. საკმარისია ითქვას, რომ ვენახების ფართობი 1921 წლის 36.000 ჰექტარიდან გაიზარდა 120 ათას ჰექტარამდე, ამის შესაბამისად გადიდდა ყურძნის საერთო მოსავალიც.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე გასული წლის ნოემბერში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაშია, და დაისახა სერიოზული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ყურძნის დამზადების გეგმა გასულ წელს 41,1 პროცენტით შესრულდა, ვენახების სიმჩხრე რესპუბლიკის ვენახებში 22,8 პროცენტს შეადგენს. მაღალია ვენახების სიმჩხრის პროცენტი საგარეჯოს, თელავის, მცხეთის და ყვარლის რაიონების მეურნეობებში. სიმჩხრე კოლოსალურად დიდ ზიანს აყენებს ჩვენს მევენახეობას. ამიტომ ჩვენი მიზანია ამ წერილში განვიხილოთ მევენახეობაში არა მარტო სიმჩხრის ლიკვიდაციის, არამედ საერთოდ რესპუბლიკის მევენახეობის აქტუალური საკითხები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სავენახე ფართობის შერჩევის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნაკვეთების ექსპოზიციას, ნიადაგის შედგენილობას, სარწყავ რაიონებში რწყვის ჩატარების შესაძლებლობას და ძირითადი სამუშაო პროცესების მექანიზაციას. ნაკვეთის შერჩევის შემდეგ გადამწყვეტია მისი სათანადო ნერგით უზრუნველყოფა, რომელსაც უნდა ახასიათებდეს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა და კარგი ნაზარდი. სათანადო წესებით დარგული ამგვარი ნერგები თითქმის მაქსიმალურ გახარებას იძლევა და ახალშენი ვენახიც უნაკლოდ ვითარდება.

სამწუხაროდ, ასე ყველგან არ ხდება და ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახის გაშენების პირველ წელსვე ნარგაობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპება, მისი აღდგენა კი მეურნეობას შემდგომ წლებში მძიმე ტვირთად აწვება და ეფექტიც მინიმალურია. ამრიგად, ვენახები გაშენებისთანავე მასობრივად მეჩხერიანდება, რაც მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა გულგრილობის შედეგია.

საერთოდ სიმჩხრე ვენახში მეურნეობის დაბალი კულტურის მაჩვენებელია და თავისთავად ტერმინი „სიმჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა" ჩვენი აზრით, სოციალისტური მეურნეობის თანამედროვე ეტაპზე არც კი უნდა არსებობდეს. მაგრამ ფაქტებს ვერ გავექცევით. როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის საქართველოს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ვენახების სიმჩხრე მეტად დიდია. ამ მდგომარეობას ის განაპირობებს, რომ მთელ რიგ რაიონებში მოუვლელობის გამო არა მარტო ძველი ვენახები, არამედ ახლად გაშენებულიც ნადგურდება. ხოლო სათანადო სამეურნეო ორგანოები ასეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ამის დამადასტურებელია თუნდაც ზესტაფონის რაიონის როდინოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ვენახები გააშენეს სათანადო სამელიორაციო სამუშაოების წინასწარ ჩატარების გარეშე, ამ მიზეზით და მოუვლელობის შედეგად 1962-70 წლებში გაშენებული 280 ჰექტარი ვენახიდან 200 ჰექტარამდე დაიღუპა და ჩამოწერეს, ხოლო გადარჩენილი ნარგაობა იმდენად დაკნინებულია, რომ მოსავალი ჰექტარზე მხოლოდ რამდენიმე ცენტნერით განისაზღვრება. მსგავსი მდგომარეობაა ამავე რაიონის კვალითის კოლმეურნეობაში, ასევე ჩოხატაურის რაიონის „ჩხავერის" საბჭოთა მეურნეობაში, სადაც გარდა იმისა, რომ ნარგავი ჯიშებით გაშენებული, ვაზი მასობრივად დაკნინებულია და ყურძნის მოსავალიც მინიმალურია. ამგვარი მაგალითები მეტნაკლებად საქართველოს თითქმის ყველა რაიონშია, რაც მეტად უარყოფით დაღს ასვამს რესპუბლიკის მევენახეობას.

უკანასკნელი მონაცემების მიხედვით ვენახების საერთო ფართობი რესპუბლიკაში 120 ათას ჰექტარს შეადგენს. ოფიციალური ცნობით სიმჩხრის შედეგად 25 ათას ჰექტარამდე ვენახის დანაკლისია, რის გამო ჩვენი რესპუბლიკა ყოველწლიურად ათეულ ათასობით ტონა ყურძენს კარგავს. გარდა ამისა, ამ მეჩხერ ფართობზე უქმად იხარჯება შხამქიმიკატები და ჭარბი ფართობის მოვლასთან დაკავშირებული შრომა.

სავალალოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები არავითარ ზომებს არ იღებენ ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. პირიქით, გეგმის შესრულების მიზნით დარჩენილ ვაზის ძირებს უდიერად ტვირთავენ, რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ მცენარის სავეგეტაციო პერიოდი მოკლდება და საბოლოოდ ვაზი მასობრივად კნინდება და ხმება. ასეთი მოქმედება დანაშაულია, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ახლა, როდესაც მთელი სერიოზულობით ისმის სიმჩხრის ლიკვიდაციის საკითხი, ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება. ამჟამად საკითხი უნდა დაისვას ასე: რა საშუალებებით შეიძლება ვებრძოლოთ სიმჩხრეს?

სიმჩხრე რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ახალი ვენახების მაღალხარისხოვანი ნერგებით გაშენება. ამ მიზნით მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს სარგავი მასალის სტანდარტულობაზე. ამასთან მეორე ხარისხის ნერგი არ უნდა დავრგათ. უმჯობესია უხეირო ნერგით სულ არ გავაშენოთ ვენახი, ვიდრე ის, რომ ვენახი დიდ ფართობზე გავაშენოთ უხარისხო ნერგით. ამის საილუსტრაციოდ ნათელ სურათს იძლევა სკრის საცდელი სადგურის მიერ 1972 წლის გაზაფხულზე გაშენებული ვენახი. საცდელმა სადგურმა ვაზის სარგავი მასალა შეიძინა მცხეთის რაიონის ქანდის სანერგე მეურნეობაში. სანერგის მიერ გაცემული „პირველი ხარისხის" ნერგი სკრის საცდელ სადგურში კარგად დაახარისხეს და აღმოჩნდა, რომ 20 პროცენტი სარგავი მასალა მეორე და მესამე ხარისხისა იყო. დარჩენილი მაღალხარისხოვანი ნერგით გაშენებული ვენახი სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის მძლავრად განვითარდა და სანიმუშო შეიქმნა მთელი რაიონისათვის. ეს მდგომარეობა ყველა მეურნეობებმა უნდა გაითვალისწინონ ვენახის გაშენების დროს.

ვენახის გაშენების დროს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელობას, რათა მკაცრად დაისაჯონ ის პირნი, რომლებიც გეგმის შესრულების საბაბით ყოველგვარ მრუდე გზებს მიმართავენ დაკნინებული ფართობის ასათვისებლად, რითაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებენ მევენახეობას.

სიმჩხრის გამომწვევი მიზეზია აგრეთვე ახალშენი ვენახების მოუვლელობა. რა მაღალი ხარისხის ნერგითაც უნდა გავაშენოთ ვენახები, თუ შემდეგ ვაზს მოვლა-პატრონობა მოაკლდით, სიმჩხრეს თავიდან ვერ ავიცილებთ. ამიტომ მეურნეობათა აგროპერსონალმა, როგორც წესი, ახალშენ ვენახს განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოუაროს და ყველა აგროტექნიკური ღონისძიება დროულად და მაღალ დონეზე განახორციელოს. ეს კი ხელს შეუწყობს სიმჩხრის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას.

მევენახეობის გამოჩენილ სპეციალისტთა აზრით არსებულ ნარგაობაში სიმჩხრის ლიკვიდაციის ერთ-ერთი ღონისძიებაა სადედე ვაზიდან მოუცილებლად რქის ან მთელი ვაზის გადაწვენა. ერთი ან ორი ძირის შევსების შემთხვევაში დასაშვებია აგრეთვე ვაზის მხრის გაგრძელება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ძლიერად განვითარებულ ვაზებზე. სამწუხაროდ, მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოუვლელობისა და გადატვირთვის შედეგად ვეგეტაციური ნაწილები იმდენად დაკნინებულია, რომ გადაწვენით ვენახების შევსება შეუძლებელი ხდება. ეს მდგომარეობა წლობით გრძელდება. შეიძლება თუ არა ამის გამოსწორება? გამეჩხერებული და დაკნინებული ვენახების აღდგენა შეიძლება, მაგრამ ამის გამოსწორებას დიდი შრომა, ზრუნვა და ხარჯები ესაჭიროება.

მევენახეობის თვითეული საბჭოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ თავიდან უნდა იზრუნოს ვენახების მაღალხარისხოვანი ნერგებით გაშენებისათვის, აგროწესების ზუსტად დაცვით მოვლისათვის, რაც ნორმალურად დატვირთვის შემთხვევაში განაპირობებს ვაზის დაუბრკოლებელ განვითარებას, ნორმალურ და რეგულარულ მოსავალს, ხარისხოვანი პროდუქციის შენარჩუნებას.

ეს აქსიომა საყოველთაოდ ცნობილია, უამისოდ საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებში — მოლდავეთში, უკრაინაში, სამხრეთ რუსეთში და სხვ. მევენახეობის განვითარება დღეს წარმოუდგენელია. დიდი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივ მეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად.

შემდეგი მტკივნეული საკითხია მუშაკის გამოთავისუფლება მძიმე ფიზიკური სამუშაოებისაგან და ამ მიზნით მექანიზაციის ფართოდ გამოყენება მევენახეობაში, რაც დღეისათვის მეტად დაბალია.

მევენახეობის ცნობილ მკვლევართა შრომების მიხედვით, რაც პრაქტიკულადაც არის გამტკიცებული, ვაზის აღზრდა-ფორმირების მრავალი წესიდან დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით რეკომენდებულია მხოლოდ ვერტიკალური შპალერული წესით ფორმირება. ამ წესის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მცენარე ადამიანის სიმაღლის შესაბამისად არის დაყენებული, რითაც გაადვილებულია აგროტექნიკურ ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად შესრულება. ამავე დროს ვერტიკალურ შპალერულ ფორმაში ვაზის ვეგეტაციური ნაწილების მიერ მაქსიმალურად არის გამოყენებული მზის სხივური ენერგია, რაც ხელს უწყობს მცენარეში გაძლიერებულ ფიზიოლოგიურ პროცესებს, ე. წ. ფოტოსინთეზს. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს მცენარეთა მიერ მშრალი ნივთიერებების დაგროვების ძირითად წყაროს და საერთოდ მცენარეთა ცხოველმოქმედების მასაზრდოებელ პროცესს, რაც საბოლოო ანგარიშით ნორმალურ მოსავალთან ერთად განაპირობებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებას. სწორედ ამის გამო ვერტიკალური შპალერი, როგორც პროგრესული ღონისძიება, ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს მევენახეობის ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც.

ვერტიკალურ შპალერში წარმატებით ხორციელდება რიგთა და ვაზთა შორის ნიადაგის მექანიზებული დამუშავება (ხვნა, კულტივაცია) და გამორიცხულია ვაზის მწკრივების თოხით დამუშავება, მინერალურ-ორგანული სასუქების შეტანა, რწყვა. შხამქიმიკატებით წამლობის ოპერაციები. მნიშვნელოვნად შემსუბუქებულია ყლორტების ატვრის ოპერაციები შპალერში წყვილი მავთულის გამოყენებით. ვაზთა შორის ნიადაგის მექანიზებული წესით დამუშავების დროს თავიდანვე მიმართავენ ვაზის შტამბის წესიერ აღზრდას. აღნიშნული ღონისძიებანი დღეისათვის მასობრივად გამოყენებულია როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირის მევენახეობის მთელ რიგ რაიონებში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს ფორმები ჩვენშიაც ფართოდ არის გავრცელებული. მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს ვენახებში მექანიზებულია მხოლოდ რიგთა შორის ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეზიდვა-ჩახვნა და შხამქიმიკატებით წამლობა, გამორიცხულია ვაზთა შორის მიწის მექანიზებული დამუშავება, აგრეთვე მცირე ფართობზე განხორციელებულია წყვილი მავთულის გამოყენება. დიდ მეურნეობებშიც კი ვაზის მწკრივებში ვაზთა შორის მიწა თოხით მუშავდება, რაც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ბევრ შემთხვევაში ვაზებს შორის ნიადაგს ველარ ამუშავებენ, რის გამო ვენახები მასობრივად სარეველიანდება და მხოლოდ გამოთიბვას სჯერდებიან. ამ დარგის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ სასწრაფოდ შექმნან საჭირო მანქანები მევენახეობაში მექანიზაციის დონის ასამაღლებლად, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად დაიზოგება მუშახელი, რაც მთავარია, მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარდება სამუშაოები, როგორიც არის: ვაზის გასხვლა-დაკავება, მწვანე ნაწილების ოპერაციები და ყურძნის კრეფა. მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვხელმძღვანელობდეთ ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებით, რომელიც ჩვენი პარტიის XXIV ყრილობაზე აღინიშნა: „სოფლის მეურნეობის აღმავლობა დამოკიდებულია არა მარტო სოფლის მშრომელებზე, არამედ ბევრად დამოკიდებულია მრეწველობის მუშაკთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა მეცადინეობაზეც. პარტია მოუწოდებს მათ ღირსეული წვლილი შეიტანონ ამ დიდ, ჭეშმარიტად საერთო-სახელმწიფო, საერთო სახალხო საქმეში". ამ სწორი მითითებიდან ჩვენმა ინჟინრებმა, მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

მეცხრე ხუთწლედში დიდი ამოცანების წინაშე არიან ჩვენი მევენახეები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვენახების ფართობი გადიდდება 14,1 ათასი ჰექტარით. ამ დავალების განხორციელება დიდ შრომატევად სამუშაოებთან არის დაკავშირებული და ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რომ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში საპატიო წვლილი შევიტანოთ. უწინარეს ყოვლისა მევენახეობაში ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დონე მკვეთრად უნდა ამაღლდეს.

**გ. ჩაგელიშვილი,**
ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მთავარი რედაქტორი, დოცენტი.

# ახალი ამოცანები, ახალი პრობლემები

უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო თათბირი

მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პედაგოგები, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების წარმომადგენლები. თათბირს ესწრებოდნენ სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების იდეოლოგიურ დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. პ. კირილენკოს, კ. ტ. მაზუროვს, მ. ა. სუსლოვს, ბ. ნ. პონომარიოვს.

შეკრებილებმა თათბირის საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა. უმაღლეს სკოლას, თქვა მან, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიურ, მეცნიერულ, სოციალურ და კულტურულ პროგრესში. ახლა ჩვენს ქვეყანაში 824 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სწავლობს 4.600 ათასზე მეტი სტუდენტი. უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ 700 ათასამდე სპეციალისტს.

თათბირის მონაწილეთა გამოსვლები გამსჭვალულია დაინტერესებით, რომ უმაღლესი სკოლის მუშაკებმა გადაწყვიტონ აქტუალური ამოცანები, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ".

უმაღლესი სასწავლებლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა უწოდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორმა მ. ტ. იოვჩუკმა ახალი ადამიანის აღზრდას, კომუნიზმის მშენებლობის ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

უმაღლესი სკოლა, როგორც თქვა ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრმა კ. ნ. რუდნევმა, მუდამ უნდა ითვალისწინებდეს სწრაფად განვითარებადი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა თქვა, რომ უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის ამოცანაა უფრო აქტიურად დაეხმაროს უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობასა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას თანამედროვე სპეციალისტების მომზადებაში.

სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ურთიერთმოქმედებაზე, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაში პედაგოგიური მეცნიერების როლზე, დროის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებაზე თათბირზე ილაპარაკეს სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. ა. პროკოფიევმა, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ნ. სტოლეტოვმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა ზ. მ. კრუგლოვამ, დონეცკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა გ. ვ. მალეევმა და სხვებმა.

სიტყვით გამოვიდნენ ტარტუს უნივერსიტეტის რექტორი ა. ვ. კოოპი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი ა. ა. გონჩაროვი, ტომსკის უნივერსიტეტის რექტორი ა. პ. ბიჩკოვი, ტიუმენის ინდუსტრიული ინსტიტუტის რექტორი ა. ნ. კოსუხინი, თურქმენეთის უნივერსიტეტის რექტორი ს. ნ. მურადოვი და სხვები.

უმაღლესი სკოლის მთელი მუშაობა ემყარება სტუდენტობისათვის პატრიოტიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას, ახალგაზრდობის აღზრდას ჰუმანიზმისა და ყველა ხალხთა კულტურული მიღწევებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ხაზგასმით აღნიშნა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ა. იბრაგიმოვმა. თათბირზე გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრები ი. ნ. დადენკოვი (უკრაინა), ნ. ვ. შიშკოვი (ბელორუსია), გ. ნ. ჯიბლაძე (საქართველო), ზ. ქ. ზაბულისი (ლიტვა).

უმაღლესი სკოლის საერთაშორისო საქმიანობას, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებს ახორციელებს, მიუძღვნა თავისი გამოსვლა პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის რექტორმა ვ. ფ. სტანისმა.

კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ხელოვნების მაღალი მისიის შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ა. გერასიმოვმა.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა უმაღლესი სკოლის ყველა პროფესორის, მასწავლებლის, ასპირანტის, სტუდენტისა და თანამშრომლისადმი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა მრავალათასიანი რაზმის სახელით მათ აღუთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ უმაღლესი სკოლის მუშაკები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას, რათა კიდევ უფრო განავითარონ და გააუმჯობესონ უმაღლესი განათლება ჩვენს ქვეყანაში, შეიტანონ თავიანთი ღირსეული წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამით თათბირმა მუშაობა დაამთავრა. (საქტასი).

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# „ლუნოხოდი“ მთვარეს იკვლევს

შორეული კოსმოსური კავშირის ცენტრიდან

[illegible]

ტერესო და მიმზიდველი იყო მომენტი, როცა „ლუნოხოდ-2“ მიჯრით მივიდა „ლუნა-21“ სადგურის დასაშვებ საფეხურთან.

მანქანებს 4 მეტრზე ნაკლები მანძილი მყოფდა. გვეგონებოდათ, სადაცაა ისინი ერთმანეთს დაეჯახებიანო. მაგრამ მანევრი ზუსტად შესრულდა. ეს მთვარემავლის ეკიპაჟის დიდი გამოცდილების ნაყოფი იყო! მძღოლებმა, შტურმანებმა, მეთაურმა მტკიცედ წაიყვანეს ყველგანმავალი და სწრაფად მოახვევინეს. რამდენიმე თვის მანძილზე ამაოდ როდი ატარებს მათ დედამიწის მთვარედრომზე ორეული მანქანა. ამ მანევრის შემდეგ დაიწყო სატრანსპორტო აპარატის სატელევიზიო გადაღება. თავდაპირველად ჩაირთო მთვარემავლის ერთ-ერთი ტელეკამერა, რათა რაც შეიძლება ახლო მანძილიდან გადაეღო დასაჯდომი პლატფორმისა და მისი დაშვების ადგილის ფოტოსურათი.

კონსტრუქტორებსა და ინჟინრებს აინტერესებთ თავიანთი პირმშოს მდგომარეობა, ხოლო მეცნიერებს — გრუნტის სიმტკიცე და სხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.

— პლატფორმამ, რომელმაც „ლუნოხოდ-2“ მიიყვანა მთვარეზე, დიდი კრატერის კიდეზე დაეშვა, — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში ოპერატიული სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბ. ვ. ნეპოკლონოვმა, — „ლუნა-21“ სადგურის დასაჯდომი საფეხური ისე რბილად შეეხო დაჯდომისას მთვარის ზედაპირს, რომ ოთხი „თათიდან“ მხოლოდ ერთის ამორტიზატორი გამოდგა საჭირო. დანარჩენი ამორტიზატორები არც შერხეულა.

რბილად დაჯდომის ძრავებმა მახლობელი პლატფორმის დაშვების სიჩქარე, რომელზეც ტონაზე ოდნავ ნაკლები წონის ტვირთი იყო, წამში ორ მეტრამდე შეამცირეს. აქვე უნდა ითქვას, რომ პარაშუტისტი დედამიწაზე ხუთჯერ უფრო სწრაფად ეშვება.

ლევიზიო პანორამა, რომლებზეც ჩანს „ლუნა-21“ დასაშვები საფეხურის უმცირესი დეტალები. თუ პირველი შთაბეჭდილებით ვიმსჯელებთ, სწორედ ძრავებმა უზრუნველყვეს „ზერბილი“ დაჯდომა. კრატერის ბორცვის გრუნტი საკმაოდ მკვრივია, გვეგონება კენჭებით არის გატენილიო, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ვ. ნეპოკლონოვმა.

„ლუნოხოდ-2“-თან კავშირის ყოველ სეანსში მეცნიერული ექსპერიმენტები სრულდება.

თვითმავალი აპარატის დამოუკიდებელი საქმიანობის პირველივე წუთებიდან მის ბორტზე განუწყვეტლივ მუშაობს ხელსაწყო, რომელსაც შეიძლება მზის პატრული ვუწოდოთ. ხელსაწყოს მეშვეობით ხდება კოსმოსური სხივების ნაკადების — კოლოსალური ენერგიის მქონე ნაწილაკების აღრიცხვა და გამოკვლევა.

სწორედ ასეთივე სერიული მოწყობილობანი იყო დაყენებული „ლუნოხოდ-1“-სა და „ლუნა-19“-ზე. ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, თითქოს ერთმანეთს გადასცემენ ესტაფეტასო, ისინი უზრუნველყოფდნენ უწყვეტ დაკვირვებას მზის აქტივობაზე.

დადგენილია, რომ მზის აქტივობის მაქსიმუმთა პერიოდში დღის მნათობის წიაღში იბადება გაცილებით მეტი ზეენერგიული ნაწილაკები, ვიდრე გალაქტიკის სიღრმიდან მოდის.

ასეთი ხანგრძლივი ექსპერიმენტები, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, დაგვეხმარებიან შევისწავლოთ მზის მოქმედების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი თავისებურებანი, გაგვიადვილებენ მისი აქტივობის დონის პროგნოზს.

მაშ ასე, მეორე საბჭოთა მთვარემავლის ვახტი წარმატებით დაიწყო.

შორეული კოსმოსური კავშირის ცენტრი.

**დ. დმიტრიევი,**
საკდესის სპეც. კორ.

# სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში ლ. ნ. სმირნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვ. კულიკოვის მოხსენების გამო განიხილა გეგმის შესრულების ანგარიშის წარმატებათა და სხვა დამახინჯებათა საქმეების შესახებ სასამართლო პრაქტიკის საკითხი და სასამართლოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა თანამიმდევრული ბრძოლა ისეთ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებასთან, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას. მოხსენებაში აღნიშნული იყო ფაქტები, როცა ჯეროვნად არ შეაფასეს ასეთი დანაშაულობანი. ცალკეულ თანამდებობის პირნი, რომლებმაც მოატყუეს სახელმწიფო, ან დანაშაულთა წამქეზებელნი და ორგანიზატორები ზოგჯერ დაუსჯელი რჩებიან ან ისჯებიან ჩადენილი ქმედებისა და გამოწვეული ზარალის სიმძიმის გაუთვალისწინებლად. პლენუმმა მიუთითა სასამართლოებს, რომ განუხრელად უნდა გამოიყენონ კანონი, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე ანგარიშგების განზრახ დამახინჯებისათვის, გამოავლინონ უყაირათობის ფაქტები, აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებაში, გეგმების ფაქტიური შესრულებისადმი კონტროლის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი და მიიღონ ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. პლენუმმა მიიღო სახელმძღვანელო განმარტებანი იმ საკითხების გამო, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრება ხოლმე კატეგორიის საქმეთა გამო.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. გ. ბანიკოვის, უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ს. კუზოვკინის და ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. გ. ბონდარის მოხსენებანი შინაურ სპირტიანი სასმელების უკანონოდ დამზადების, გასაღებისა და შენახვის საქმეთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ჩამოთვლილი დანაშაულები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას, ხელს უწყობენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის გავრცელებას, და ამიტომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რაც აღნიშნულია მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებში.

სასამართლოებს მიეცათ ახსნა-განმარტება ტყის შინგამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე, მიეთითათ, რომ საჭიროა ამაღლდეს ამ დანაშაულთა თავიდან აცილების საქმეში მათი საქმიანობის ეფექტიანობა.

პლენუმმა განიხილა სასამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი, აგრეთვე პროტესტები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ და სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა შეიტანეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი.

# ნაყოფიერი თანამშრომლობა

16-19 იანვარს მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სამთავრობათშორისო კულტურული თანამშრომლობის კომისიის IX სესია. კომისიის სხდომაზე განიხილეს ლიტერატურის გამოცემის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დარგში, სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირებისა და მხატვართა კავშირების თანამშრომლობის საკითხები. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ნაყოფიერად ვითარდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კულტურული თანამშრომლობა, რომლის გადამწყვეტი პირობაა ძმური მეგობრობა, ურთიერთგაგება და შეკავშირება ორივე ქვეყანას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიას შორის.

სესიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ორი ქვეყნის კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. განხილულ საკითხებზე ხელი მოაწერეს ოქმს. საბჭოთა კავშირის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ, უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრმა პალ ილკუმ. (საკდესი).

# მსოფლიო დღეს

## ლაპარაკობენ მეცნიერები

ბერლინი. 19 იანვარი. (საკდესი). [illegible]

პარიზი. 19 იანვარი. (საკდესი). [illegible]

ის გარემოება, რომ „ლუნოხოდ-2“-ის ბორტზე დაყენებულია ფრანგი სპეციალისტების მიერ დამზადებული კუთხოვანი ამრეკლი, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა მიშელ ბინიემ, კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა წარმატებით ვითარდება საბჭოთა და ფრანგი მეცნიერების თანამშრომლობა კოსმოსის შესწავლის დარგში. ჩვენ იმედი გვაქვს, დასძინა მან, რომ ერთობლივი ექსპერიმენტები მოგვაპოვებინებენ მსოფლიო მეცნიერებისათვის საინტერესო ახალ მონაცემებს.

## ძმური შეხვედრა

პარიზი. 19 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ 18 იანვარს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სპეციალური მრჩეველი ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე ლე დიკ თხო და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური სუან თხიუი.

ამ ძმურმა შეხვედრამ, როგორც „ლუმანიტე“ წერს, საფრანგეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს საშუალება მისცა დაედასტურებინა აქტიური და უსაზღვრო მხარდაჭერა, რომელსაც საფრანგეთის კომუნისტური პარტია უწევს გმირი ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმეს.

## თეთრი სახლის წარმომადგენლის ცნობა

ვაშინგტონი. 19 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი 23 იანვარს განაახლებს კონფიდენციალურ მოლაპარაკებას პარიზში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სპეციალურ მრჩეველთან ლე დიკ თხოსთან „შეთანხმების ტექსტზე მუშაობის დამთავრების მიზნით“, განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კი-ბისკეინში (ფლორიდა). მან თქვა, რომ მისი განცხადება შეთანხმებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან.

## აგრესორის სამარცხვინო კარიერის დასაწყისი და ბოლო



ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი რიჩარდ ჯონსონი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვის მეზენიტეებმა ჩამოაგდეს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ე. მასკი: უნდა შევამციროთ სამხედრო ხარჯები

ვაშინგტონი. 19 იანვარი. (საკდესი). კონგრესში გამოსვლისას დემოკრატმა სენატორმა ე. მასკიმ განაცხადა, რომ საჭიროა განხორციელდეს შემდგომი ღონისძიებანი სტრატეგიული ატომური შეიარაღების შეზღუდვისათვის.

მასკი მიესალმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმებას ამ საკითხზე, რომელიც მიღწეულია მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამგვარ ღონისძიებებს მხარი უნდა დაუჭიროს კონგრესმა, აგრეთვე ამერიკელმა ხალხმა“.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების პირველმა წარმატებამ — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებისა და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ დროებითი შეთანხმების დადებამ, განაცხადა სენატორმა, შარშან გაამხნევა მთელი მსოფლიო.

ამავე დროს მასკიმ გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს შეუძლია შეაფერხოს განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი. ამასთან დაკავშირებით მან ყურადღება მიაპყრო პენტაგონის მოთხოვნას, რომ მისცენ ასიგნებანი შეტევითი შეიარაღების ახალი სისტემებისათვის.

„იარაღის ახალმა ფართო გაშლამ, — თქვა მან, — შეიძლება ზიანი მიაყენოს შემდგომი პროგრესის პერსპექტივებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე“. „ჩვენ კი არ უნდა გავზარდოთ, არამედ უნდა შევამციროთ სამხედრო ხარჯები“, — თქვა სენატორმა.

## დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

ჰელსინკი. 19 იანვარი. (საკდესი). ფინეთის პარლამენტმა მიიღო კანონი უ. კ. კეკონენის საპრეზიდენტო რწმუნებულებათა ვადის 4 წლით გაგრძელების შესახებ. კანონი მიიღეს 170 დეპუტატის ხმით 28 ხმის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით აქ გამოქვეყნებულ ცენტრის პარტიის განცხადებაში ნათქვამია, რომ ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ უ. კ. კეკონენის საპრეზიდენტო რწმუნებულებათა ვადის გაგრძელებას, რადგან ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა პაასიკივი — კეკონენის საგარეო-პოლიტიკური ხაზის გაგრძელება, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც ცენტრის პარტია, ისე ფინელი ხალხის დიდი უმრავლესობაც.

როგორც აღნიშნულია ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში, პარლამენტის გადაწყვეტილება უ. კ. კეკონენის საპრეზიდენტო რწმუნებულებათა ვადის გაგრძელების შესახებ — ეს არის დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული საზოგადოებრივი წრეების გამარჯვება და ქვეყნის ულტრამემარჯვენე ძალებისა და საერთაშორისო რეაქციის დამარცხება.

## რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ

სანტიაგო, 19 იანვარი. (საკდესი). ჩილეს უდიდესი სამთამადნო კომპლექსის „ჩუკიკამატის“ მშრომელებმა, რომლებიც რეაქციული ელემენტების ყალბი პროპაგანდის გავლენით ჩაითრიეს „გაფიცვაში“ გადაწყვიტეს განაახლონ მუშაობა. ეს ელემენტები მიზნად ისახავენ უწინარეს ყოვლისა პოლიტიკურ მიზნებს.

„გაფიცვა“, აგრეთვე ამ ბოლო ხანს გახშირებული მოფაშისტო არამზადების ბანდიტური თავდასხმები სახალხო ერთიანობის მომხრეებზე, რეაქციული ოპოზიციის და მისი მომხრე პრესის ცილისმწამებლური კამპანია მთავრობის ეკონომიური ღონისძიებების წინააღმდეგ, ოპოზიციის საქმიანობა პარლამენტში, რომელიც აშკარად იცავს სპეკულანტებსა და შავი ბაზრის ორგანიზატორებს, — ყოველივე ეს მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს სახალხო ერთიანობის მთავრობის პრესტიჟს და ჩაფუშოს ნორმალური განვითარება წინასაარჩევნო კამპანიისა, რომელიც დაიწყო 4 მარტს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით.

სახალხო ერთიანობის მთავრობა სალვადორ ალიენდეს მეთაურობით გადამწყვეტ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა აღკვეთოს რეაქციის დანაშაულებრივი ზრახვები და საშუალება არ მისცეს მას ხელი შეუშალოს სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს. ჩილეს შინაგან საქმეთა მინისტრის კ. პრატსის განკარგულებით სპეკულაციისა და შავი ბაზრის წინააღმდეგ საბრძოლველად კარაბინერთა კორპუსი კონტროლს გაუწევს საცალო ვაჭრობას, კერძოდ, თვალყურს ადევნებს კვების პროდუქტებისა და პირველი საჭიროების საგნების ოფიციალური ფასების დაცვას. მთავრობამ განკარგულება გასცა აგრეთვე გააძლიერონ კონტროლი წინასაარჩევნო პროპაგანდის წარმოების კანონის დაცვისადმი.

## სამსჯავრო ათენში

ათენი, 19 იანვარი. (საკდესი). დღეს ათენის საგანგებო სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო პროცესი სამხედრო რეჟიმის 13 მოწინააღმდეგის საქმის გამო, რომლებსაც ბრალად ედებათ მონაწილეობა იატაკქვეშა ორგანიზაციის „საბერძნეთის წინააღმდეგობის“ წევრობა.

მათ, კერძოდ, წაუყენეს ბრალდება, რომ ინახავდნენ იარაღსა და ფეთქებად ნივთიერებებს, ამუშავებდნენ უცხოელი დიპლომატების მოტაცების გეგმებსა და საბერძნეთის ავიაკომპანიის „ოლიმპიკის“ თვითმფრინავის გატაცების გეგმებს.

დღევანდელ სხდომაზე ყველა განსასჯელმა კატეგორიული უარი თქვა ეცნო თავი დამნაშავედ.

განსასჯელთა შორის არის 26 წლის სტატის პანაგულისი, ძმა ყოფილი სამხედრო მოსამსახურის ალექსანდროს პანაგულისისა, რომელსაც 1968 წელს მიუსაჯეს სიკვდილით პრემიერ-მინისტრ პაპადოპულოსზე თავდასხმის მომზადების ბრალდებით.

ბრალდება ამტკიცებს, თითქოს განსასჯელები ცდილობდნენ გაეპარებინათ ალექსანდროს პანაგულისი, რომელსაც სიკვდილით დასჯა მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტების ზეგავლენით შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით. დღეს სასამართლოზე სტატის პანაგულისმა განაცხადა, რომ დაპატიმრების შემდეგ აწამეს სამხედრო პოლიციაში.

ხელისუფლებმა განახორციელეს საგანგებო ღონისძიებანი სასამართლოს შენობის დასაცავად, რომლის მისადგომებთან დააყენეს სამხედრო და პოლიციის პატრულები.

განსასჯელებს იცავს დიმიტრიოს პაპასპირუ, რომელიც იყო 1967 წელს სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორების მიერ დათხოვნილი საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარე.

## გაჭიანურებული კრიზისი

ბონი. 19 იანვარი. (საკდესი). გაჭიანურებული ხასიათი აქვს კრიზისს, რომელსაც ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობა განიცდის.

ამ კრიზისს მიმდინარე ათწლეულშიც ვერ დაძლევენ — ასეთი დასკვნა გამოაქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჯგუფს, რომლებმაც გამოაქვეყნეს მრეწველობის ამ დარგში მდგომარეობის ერთობლივად გაწეული ანალიზის სტატისტიკური შედეგები.

აღნიშნულია, რომ 1980 წლამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაღაროებში ამოღებული ქვანახშირის გასაღება შემცირდება 38 პროცენტით და მეტად — 104,8 მილიონი ტონიდან 64,2 მილიონ ტონამდე. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით ასევე შემცირდება სათბობის მოპოვებაც.

ქვანახშირის, როგორც ენერგიის წყაროს, წილი შეადგენს მხოლოდ 11 პროცენტს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრეწველობაში ენერგიის ძირითადი საწყობა ხდება ნავთობი, რომლის შედეგად ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზაზე წამყვან როლს შეასრულებენ ამერიკის ნავთობის კონცერნები.

გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მთელი რიგი გაზეთები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ქვანახშირის მოპოვების შემდგომი შემცირება გამოიწვევს უმუშევრობის ახალ ზრდას. როგორც აღნიშნავს „ვესტფელიშე რუნდშაუ“, თუ ეს სავალალო პროგნოზები დადასტურდა, სამუშაოს დაკარგავს შახტებში, აგრეთვე მეტალურგიულ საწარმოებში დასაქმებული 400 ათასზე მეტი კაცი. გარდა ამისა უმუშევარი დარჩება ტრანსპორტის, სავაჭრო ქსელისა და ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის მომიჯნავე ეკონომიკის სხვა დარგების 300 ათასი მუშა-მოსამსახურე.

## უპერსპექტივო პოლიტიკა

ლუსაკა. 19 იანვარი. (საკდესი). როდეზიელ რასისტთა პროვოკაციული მოქმედების პასუხად, რომლებმაც ჩაკეტეს სამხრეთ როდეზიის საზღვარი ზამბიასთან, ზამბიის მთავრობამ განახორციელა ყველა საჭირო ღონისძიება ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ეს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა ზამბიის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა მაინზა ჩონამ.

ზამბიის მთავრობა, აღნიშნა მან, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ქვეყნის ეკონომიკა, სმიტის რეჟიმის მხრივ ეკონომიური ბლოკადის მიუხედავად, ნორმალურად მოქმედებდეს.

ვიცე-პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მოძმე აფრიკელ ხალხებს ზამბიელ ხალხთან „სოლიდარობისა და მტკიცე მხარდაჭერისათვის“. მან აღნიშნა, რომ ზამბიას თავის მხრივ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც ყოველნაირად დაეხმაროს სამხრეთ აფრიკის განთავისუფლებისათვის მებრძოლთ.

## უნაყოფო ვოიაჟი

ბეირუთი. 19 იანვარი. (საკდესი). თელ-ავივის ცდები, გაამართლოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში თავისი აგრესიული კურსი არაბულ სახელმწიფოთა მიმართ, იფუშება, აღნიშნავს ლიბანის პრესა.

გაზეთი „დეილი სტარი“ განმარტავს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ამასწინანდელ მოგზაურობას ევროპაში და ხაზს უსვამს, რომ მეირი წააწყდა არაბული სახელმწიფოების პოზიციათა მზარდ მხარდაჭერას ევროპის ქვეყნების მხრივ. „პრემიერ-მინისტრი იძულებული იყო ისრაელში ხელცარიელი დაბრუნებულიყო“, — აღნიშნავს გაზეთი.

გაზეთი „ალ-ჰაიათი“, ეხება რა ისრაელის პრემიერ-მინისტრის შეხვედრას რომის პაპ პავლე VI, წერს, რომ მეირმა ვერ შეძლო ვატიკანისათვის თავს მოეხვია პროისრაელი პოზიცია, კერძოდ, იერუსალიმის სტატუსის საკითხში და „აიძულებინა ვატიკანი შეეტანა რაიმე უმნიშვნელო ცვლილებაც კი მის დამოკიდებულებაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის პოლიტიკისადმი“.

კაირო. 19 იანვარი. (საკდესი). მეირის ევროპის ტურნე მარცხით დამთავრდა — ასეთია მთელი კაიროს პრესის ერთსულოვანი აზრი.

## საბჭოთა პიანისტების წარმატება

ჰააგა. 19 იანვარი. (საკდესი). ამსტერდამში დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა პიანისტების ბელა დავიდოვიჩისა და ელისო ვირსალაძის გამოსვლას.

საბჭოთა პიანისტთა ხელოვნებას, რომლებიც მონაწილეობდნენ ამსტერდამის ფილარმონიის ორკესტრის კონცერტებში ანტონ კერსიესის დირიჟორობით, მაღალ შეფასებას აძლევს ადგილობრივი პრესა.

## რომაელები პროტესტს აცხადებენ

რომი, 19 იანვარი. (საკდესი). გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდა რომის დემოკრატიული საზოგადოებრიობა აქ გახსნილ ნეოფაშისტთა დიდ თავყრილობას — იტალიის სოციალური მოძრაობის პარტიის ეგრეთწოდებულ მეათე ყრილობას.

ნეოფაშისტური პარტიის თავყრილობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად იტალიის დედაქალაქის მშრომელებმა მოაწყვეს ნახევარსაათიანი გაფიცვა ყველა საწარმოში, ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. რომის უნივერსიტეტის ათასობით სტუდენტმა და საშუალო სკოლების მოსწავლეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა და გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. მათ ეკავათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილი იყო: „ძირს ყოველგვარი ფორმის ფაშიზმი!“, „გავილაშქროთ შავხალათიანთა თავყრილობის წინააღმდეგ!“, „გვახსოვდეს წინააღმდეგობის მოძრაობის იდეალები, განვამტკიცოთ ანტიფაშისტური ძალების ერთიანობა!“.

ნეოფაშისტებმა ბარიკადები მოაწყვეს რომის კონგრესების სასახლეში, რომელსაც თავს დასტრიალებდნენ პოლიციელთა ვერტმფრინავები. პოლიციის გაძლიერებული რაზმები განლაგდნენ „წესრიგის დასაცავად“ კონგრესების სასახლის შენობის გარშემოც, ახლომახლო სახლების სახურავებზე.

საღამოს რომში გაიმართა კიდევ ერთი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ანტიფაშისტი მებრძოლები, იტალიის კომუნისტური პარტიის ვეტერანები, სოციალისტური პარტიის, რესპუბლიკური პარტიის, სოციალ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, სამრეწველო საწარმოთა მუშები, რკინიგზელები, მშენებლები, ბევრი ახალგაზრდა.

სან-პაოლოს მოედანზე, სადაც 1943 წლის 8 სექტემბერს რომაელმა პატრიოტებმა დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა ჰიტლერელთა მიერ რომის ოკუპაციის პერიოდში, გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი.

მიტინგზე კომუნისტთა სახელით გამოვიდა იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ჯ. ამენდოლა, რომელმაც გადაჭრით დაგმო ისინი, ვინც საშუალება მისცა ნეოფაშისტებს მოეწვიათ რომში თავყრილობა. ორატორმა იტალიის დედაქალაქის ანტიფაშისტურ და დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა აღკვეთონ ნეოფაშისტთა ყოველგვარი პროვოკაციები და განამტკიცონ მემარცხენე პარტიათა და ორგანიზაციათა ერთიანობა და სოლიდარობა.

## უცნაური ამბები

### იავაზე სიმჭიდროვეა

იავაზე — ყველაზე პატარა, მაგრამ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ კუნძულზე, რომელიც შედის დიდი ზონდის კუნძულების ჯგუფში, მეზობელი სუმატრისა და კალიმანტანისაგან განსხვავებით თითქმის არ დარჩენილა ხელუხლებელი ადგილი. მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ შეადგენს 500 კაცს ერთ კვადრატულ კილომეტრზე. „ჩვენთან არ მუშაობენ მხოლოდ მთის მწვერვალები და ვულკანები“, — ხშირად ამბობენ ინდონეზიელები.

იავის გადამეტდასახლების პრობლემის გადაწყვეტისათვის ინდონეზიაში არაერთხელ განუხორციელებიათ მეზობელ ნაკლებად დასახლებულ კუნძულებზე ხალხის „გადასახლების“ ღონისძიებანი, მაგრამ სასურველი შედეგები როგორც წესი, ამას არ მოუტანია.

როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, რამდენიმე პროვინცია კვლავ გამოაცხადეს „გადასასახლების რაიონებად“. მთავრობა აპირებს ყოველწლიურად იავის ფარგლებს გარეთ გაასახლოს 500 ათასი კაცი.

ადგილობრივ მეთვალყურეებს ეს პროგრამა რეალურად არ მიაჩნიათ. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, იავის მოსახლეობა, რომელიც ახლა დაახლოებით 80 მილიონ კაცს შეადგენს, უკვე 1980 წლისათვის გაორკეცდება.

(საკდესი).

### წმინდა მამები და ლაზერები

ამ ბოლო ხანს იტალიაში გახშირდა სურათებისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებების ქურდობა, რამაც დიდად დააფიქრა ვატიკანის მუზეუმების ფასდაუდებელ საგანძურთა მცველები.

რადგან აღარა აქვთ მარტო ლმერთის იმედი, მათ გადაწყვიტეს გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა. ვატიკანის მუზეუმების გალერეებში დადგმულია მეთვალყურეობის 25 სატელევიზიო კამერა, სხვადასხვა მაგნიტურ-საკონტაქტო ხელსაწყო და თვით ლაზერებიც. დამ-ღამობით რთავენ ხელსაწყოებს, რომლებიც ინფრაწითელი სხივებით მუშაობენ.

საკმარისია ვინმემ ხელი მოსცილოს ექსპონატს ან მას ძალიან მიუახლოვდეს, რომ გაისმება განგაშის სიგნალი.

(საკდესი).

### დამნაშავეობის მასშტაბი

შეერთებულ შტატებში დამნაშავეობის მასშტაბს მჭევრმეტყველურად მოწმობს გელაპის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი გამოკითხვის მონაცემები, რომელთა თანახმად, შარშან ამერიკის ქალაქების ყოველი მესამე მცხოვრები დამნაშავეთა მსხვერპლი გახდა, გაძარცვეს ან სცემეს.

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამუშაოს მხრივ მოსალოდნელი შურისძიების შიში ხშირად აიძულებს ამერიკელებს არაფერი თქვან იმაზე, რაც შეემთხვათ. გამოკითხვამ ცხადყო, რომ დაახლოებით ყოველმა მეორე დაზარალებულმა ვერც კი გაბედა საჩივარი შეეტანა პოლიციაში ჩადენილი დანაშაულის გამო.

ამერიკაში დამნაშავეობის ზრდას ადასტურებს აგრეთვე გელაპის ინსტიტუტის მიერ მოყვანილი შემდეგი ციფრები. ყოველი ათი გამოკითხული ამერიკელიდან ოთხმა განაცხადა, რომ ეშინიათ ფეხით სიარული თავიანთ საცხოვრებელ რაიონში. ყოველმა მეექვსემ აღიარა, რომ შინაც კი ვერ გრძნობს თავს უშიშრად.

გამოკითხულთა უმრავლესობამ დამნაშავეობას უწოდეს ყველაზე მწვავე პრობლემა იმ პრობლემებს შორის, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქის მცხოვრები აწყდება. (საკდესი).

### გაშმაგებული გოლიათები

სპილოები შრი ლანკის რესპუბლიკის ბევრი რაიონის ადგილობრივი მოსახლეობის საუცხოო თანაშემწენი არიან. ავადმყოფობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სპილო ადამიანს აღარ ემორჩილება და მარტოდაც, რომ თავზარდამცემი ხდება. აფუვეტილი სპილოები გზას აღარ არჩევენ, რაც რამ შეხვდებათ, ყველაფერს ამტვრევენ, ლეწავენ, ანგრევენ.

მთელმა ჯოგმა, რომელშიც 40-ზე მეტი მაჩანწალა სპილო შედის, თავზარი დასცა შრი ლანკის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთი რაიონების სოფლების მცხოვრებთ. ამ რამდენიმე დღის წინ სპილოების ჯოგი სოფელ ხერასუტინეს შეესია. გლეხებმა სასწრაფოდ დატოვეს თავიანთი ფარღალალა ქოხები, გაშმაგებულ გოლიათებს რომ არ გაესრისათ. მეორე დილას ამ ადგილზე ნასოფლარიღა დარჩენილიყო: სპილოებს ხეები გადაეთელათ, სახლები სულ ერთიანად დაენგრიათ.

სპილოების პრობლემით შეწუხებული ადგილობრივი ხელისუფალნი სასწრაფოდ ახორციელებენ ღონისძიებებს „ტყის გოლიათებთან“ საბრძოლველად.

(საკდესი).

უცნაური ამბები

# საქართველოს მთა-ბარში

## იხაროს ჭერმა...

რუსთავი. (საქ. კორ.). სართულებს სართულები ემატება, კვარტალებს კვარტალები და ასე იზრდება მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქი. საცხოვრებელ სახლებს ძირითადად ლენინის ორდენოსანი № 1 სამშენებლო ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველო აწარმოებს. სამმართველოს კოლექტივმა შარშან კარგი მუშაობისათვის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო, საექსპლოატაციოდ გადასცა ოთხი რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი.

მშენებლები ამ მოკლე ხანში მეტალურგებისა და ქიმიკოსებისათვის მე-14 მიკრორაიონში დაამთავრებენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ სამ საცხოვრებელ სახლს.

## მუშა-მოსამსახურეები — სოფელს

ჩოხატაური. (საქ. კორ.). ამას წინათ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს სოფელ ლესურწუმის მუშა-მოსამსახურეებმა — მათ თავიანთ შეკრებაზე ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მარცვლეულის მოსაყვანად დაამუშაონ 17 ჰექტარი ფართობი, საიდანაც მიიღებენ 476 ცენტნერ სიმინდს, 15 ცენტნერ სოიას და 5 ცენტნერ ლობიოს, მოუვლიან 11 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, დაამზადებენ 35 ტონა ხარისხოვან ჩაის ნედლეულს.

მათ რაიონის ყველა მუშა-მოსამსახურეს მიმართეს მოწოდებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში.

## სამეცნიერო კონფერენცია

აბაშა. (საქ. კორ.). საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური და აბაშის რაიონული განყოფილებების გამგეობებმა მოაწყეს სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე: „ქართული საბჭოთა პოეზია და ახალგაზრდობა". მოხსენებები გააკეთეს პროფესორმა ა. ხინთიბიძემ, დოცენტმა ნ. ალანიამ და პოეტმა ა. შანიძემ.

## ნაწილიდან წერილი მოვიდა...

ზუგდიდი. (საქ. კორ.). რაიონის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი პირნათლად იხდის თავის მხედრულ ვალს. ერთი მათგანია კურზუელი ჭაბუკი ნუგზარ ქობალია. იგი სიყრმიდანვე შეეჩვიეს შრომას, პატიოსნებას. ეს თვისებები მან არმიაშიც გამოამჟღავნა. ნაწილის სარდლობამ ახლახან ნუგზარის დედას გაუგზავნა მადლობის წერილი, სადაც დიდი კმაყოფილებაა გამოთქმული მთის სოფლის ამ კარგი უმაწვილის სიბეჯითის გამო. გურძემელებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი მკვიდრით დემურ მილორავათი, რომელიც აგრეთვე ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას. ესეც აცნობებ გურძემში: მისი სამსახური, როგორც წერილშია აღნიშნული, შეფასდა ქებიs სიგელით და მედლებით.

## შეხვედრა ვეტერანებთან

ამბროლაური. (საქ. კორ.). სოფელ ზნაკვის მოსწავლე ახალგაზრდობამ ამას წინათ შეხვედრა მოუწყო სამამულო ომის ვეტერან თანასოფლელებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პედაგოგმა ბ. ბაკურაძემ. მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანი მეომრები ი. მიქაუტაძე, უ. ბაკურაძე, შალვა, აბელ და უშანგ მურუსიძეები, სამსონ და გერასიმე ბაკურაძეები.

სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ მოსწავლეები.

## კიდევ ერთი სიახლე

ონი. (საქ. კორ.). დღითიდღე ფართოვდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. ამ დღეებში მას კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა — ლენინის ქუჩაზე გაიხსნა საიუველირო ნაკეთობათა სახელოსნო.

## რესპუბლიკის ქალაქებში

ჭიათურა. ყოველწლიურად სულ უფრო ლამაზი ხდება ჭიათურელ სამთოელთა ქალაქი: შენდება ახალი სახლები, სკვერები.

სურათზე: ქალაქის ცენტრის ერთ-ერთი კუთხე.

თ. შიყილაძის ფოტო.



## კალათბურთის ფარებთან

რიგის ტტტ-ს კალათბურთელებმა, რომლებმაც 12-ჯერ გაიმარჯვეს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში სძლიეს პოლონეთის ქალაქ ლოძის ლკს-ს გუნდს — 87:56 (39:27).

ევროპის ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელმა — ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდმა მეოთხედფინალის მეორე შეხვედრაში მოსკოვში ანგარიშით 83:64 (45:37) მოუგო ბუქარესტის „დინამოს" (პირველ მატჩში არმიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 94:80). დინამოელთაგან გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა ჯორჯესკუმ (21), ხოლო მოსკოველთაგან — კოვალენკომ (30).

## კვლავ ოლღა კორბუტი

გროდნოელი ტანმოვარჯიშე ოლღა კორბუტი კვლავ ცნეს საუკეთესოდ. 222 ხმა მისცეს აშშ-ის სპორტულმა ჟურნალისტებმა საბჭოთა ქალიშვილს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ ჩატარებულ რეფერენდუმში „1972 წლის საუკეთესო სპორტსმენი".

საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ზევრად ჩამორჩა ამერიკელი ჩოგბურთის „ვარსკვლავი" ბილი-ჯინ კინგი, რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი მცურავი შეინ გოულდი ჟურნალისტებმა მესამე ნომრად დაასახელეს.

ჭადრაკი

## ლიდერობენ საქართველოს დინამოელები

დიდ ინტერესს იწვევს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატი. ვაჟთა შორის წინ არის სამი მოჭადრაკე — გროსმაისტერი გურგენიძე (საქართველო), ოსტატობის კანდიდატები რ. დევიჩი (რსფსრ) და ჰოფშტეინი (უკრაინა), რომელთაც ორ-ორი ქულა აქვთ. გროსმაისტერი ბრონშტეინი (მოსკოვი) ყაიმს დასჯერდა ოსტატობის კანდიდატ ბარკოვსკისთან (ლენინგრადი) და ახლა 1,5 ქულა აქვს.

ქალთა ტურნირში მეტად მძაფრად მიმდინარეობდა საერთაშორისო ოსტატ ზატულოვსკაიას (მოსკოვი) და მაია ჩიბურდანიძის პარტია. ზატულოვსკაიამ მოიგო პაიკი, მაგრამ შემდეგ 12 წლის გოგონა უშეცდომოდ თამაშობდა და ფრიად საპატიო ყაიმს მიაღწია. ქალთა შორის წინ არიან წერეთელი (საქართველო) და სეროვა (უკრაინა), რომელთაც ორ-ორი ქულა აქვთ.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს საქართველოს გუნდი, რომელსაც 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა აქვს. 6 ქულა მოაგროვეს უკრაინელებმა, ხუთი — მოსკოველებმა.

## თასი — მეხუთედ

მოსკოვის ნაკრების კალათბურთელებმა, რომელთა შემადგენლობაში ძირითადად დინამოელები გამოდიოდნენ, მეხუთეჯერ გაიმარჯვეს ტრადიციულ ტურნირში „ვარშავის განთავისუფლების თასის" გათამაშებაში. გადამწყვეტ მატჩში მათ ვარშავაში დაამარცხეს პრაღის ნაკრები — 81:76 (35:34), რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა.

## აფრიკელთა მეორე თამაშები

ლაგოსში დამთავრდა აფრიკის ქვეყნების მეორე სპორტული თამაშები, რომელშიც მონაწილეობდა 36 გუნდი.

ამ შეჯიბრებაში ნაჩვენები იყო მთელი რიგი მაღალი შედეგები. ასე მაგალითად, კენიელმა მძლეოსანმა ბენ ჯიპჩომ 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებმა ბენ ჯიპჩო აღიარეს თამაშების საუკეთესო სპორტსმენად. შეჯიბრებაზე ოქროს უკანასკნელი მედალი გაითამაშეს ნიგერიისა და გვინეის ფეხბურთელებმა. 70 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ეს გადამწყვეტი ასპარეზობა ანგარიშით 2:0 მოიგეს ნიგერიელებმა.

თამაშები დამთავრდა ეგვიპტის სპორტსმენთა გამარჯვებით, რომლებმაც მოიპოვეს ოქროს 25, ვერცხლის 16 და ბრინჯაოს 17 მედალი. ნიგერიელებს აქვთ, შესაბამისად, 18,25 და 20, ხოლო კენიელებს — 9,9 და 10 მედალი.

## რ. გოგოხია



გარდაიცვალა [illegible] ფლების გამარჯვებისათვის რევოლუციური ბრძოლების მონაწილე, სკკპ წევრი 1927 წლიდან, პერსონალური პენსიონერი რომანოზ ბახას-ძე გოგოხია.

რ. გოგოხია დაიბადა 1893 წელს სოფელ ჭუბურხინჯში, გლეხის ოჯახში. 1914 წლიდან 1920 წლამდე მასწავლებლად მუშაობდა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იგი გალის რევკომის წევრი ხდება, მუშაობდა რევკომის განყოფილების უფროსად.

1925 წლიდან 1930 წლამდე სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოზე იყო. 1930 წლიდან 1935 წლამდე მუშაობდა ოჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, ხოლო ამის შემდეგ 1937 წლამდე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორია. 1938-39 წლებში იგი ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა, ხოლო 1939 წლიდან 1945 წლამდე, აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარია. 1946 წლიდან მძიმე ავადმყოფობის გამო პენსიაზე გავიდა.

რ. გოგოხია დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. იგი არჩეული იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად.

რ. გოგოხიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

# სპორტი

ფეხბურთი

## ერთი დღე დარბაზში...

### თბილისის „დინამო" ემზადება

უჩვეულოდ ადრე დაუბრუნდნენ ტყავის ბურთს თბილისის დინამოელები ზამთრის არდადეგების შემდეგ. გუნდმა ბაკურიანის ტრადიციულ ორკვირიან შეკრებაზე უარი თქვა და უკვე 10 იანვარს პირველი ვარჯიში ჩაატარა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე.

მოულოდნელად მოსულმა თოვლმა და სიცივემ ჩვენი ფეხბურთელების მზადებაში მცირე „კორექტივი" შეიტანა და დინამოელებმაც დიღმიდან საბურთალოზე გადაინაცვლეს, რათა სპორტის სასახლის თაღებქვეშ გააგრძელებინათ სეზონისწინა მზადება.

ერთ-ერთ ვარჯიშს ჩვენც დავესწარით და გვინდა გაგიზიაროთ პირველი შთაბეჭდილებები „დინამო-73"-ზე.

...სპორტის ოსტატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. კოტრიკაძემ, რომელიც, როგორც ცნობილია, წელს კვლავ ჩაუდგა სათავეში თბილისის „დინამოს", ორ ჯგუფად წვრთნა არჩია. ჯერ ვარჯიშობენ თავდამსხმელები და ნახევარმცველები, მერე კი — მცველები და მეკარეები. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ,ასე ვთქვათ, მეტი დიფერენციაციით მივუდგეთ ფეხბურთელთა მზადებას სეზონის წინ.

ნახევარმცველები კ. ახათიანი, მ. მაჩაიძე, გ. გავაშელი, ბ. მჭედლიშვილი, ხ. კუტივაძე, თავდამსხმელები გ. და ლ. ნოდიები, გ. გუცაევი, დ. ყიფიანი , ფ. რეხვიაშვილი, ზ. წერეთელი, ზ. გაგუა და ო. ბახტაძე (ეს უკანასკნელი გორის „დილადან" მოვიდა — ადრე კი თბილისის „ლოკომოტივში" გამოდიოდა) — ყველანი უკლებლივ დიდი მონდომებით და ინტენსიურად ასრულებენ მწვრთნელის მრავალმხრივ და, ასე განსაჯეთ, „გაუთავებელ" დავალებებს: სირბილი და ხტომა, ხტომა და სირბილი, ბურთი, ბურთი... ოფლი.

— ამდენი ოფლი კარგა ხანია არ გვახსოვს... რა დასამალია, და ბიჭები ბოლო დროს გადაეჩვივნენ ნამდვილ ვარჯიშს, — გვეუბნება სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა და სარბიელის ცენტრისაკენ გარბის: წვრთნას იწყებს მეორე ჯგუფი. დაგვერწმუნეთ, ეს დინამოელთა კაპიტნის მხოლოდ ზრდილობანარევი ხარკი როდია ახალი მწვრთნელის მუშაობის მიმართ.

და აი ვარჯიშობენ მცველები მ. ხურცილავა და რ. ძოძუაშვილი, ვ. ჭელიძე და გ. პეტრიაშვილი, ზ. ებრალიძე და ფ. კანთელაძე, გ. გოგიჯანაშვილი და ა. ჯინჭარაძე, რ. ნატროშვილი და ნ. ხიზანიშვილი (იგი ბათუმის „დინამოდან" გადმოიყვანეს, სადაც ნახევარდაცვაში თამაშობდა), მეკარეები დ. გოგია, თ. ჩლაიძე და მ. გაგოშიძე (მუხლის ოპერაციით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ შეუდგა ვარჯიშს). კარგა მაგრად მოქანცული ეს ჯგუფიც ტოვებს სასახლის უჩვეულოდ ცარიელი ტრიბუნებით გარშემორტყმულ „მინდორს".

— გაუძლებენ კი ასეთ დატვირთვას ბიჭები, — ვეკითხებით გუნდის ექიმს თ. ქუთათელაძეს და ღიმილნარევ პასუხს ვიღებთ: — 8 და 9 იანვრის ე. წ. გაღრმავებულმა სამედიცინო შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ყველა დინამოელი ფიზიკურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და, ვიმედოვნებ, რომ აპრილისათვის ფეხბურთელები კარგ სპორტულ ფორმაში იქნებიან უკლებლივ.

უფროსმა მწვრთნელმა ა. კოტრიკაძემ ამჯერად, ცხადია, თავი შეიკავა ნაადრევ საუბარზე გუნდის ავკარგიანობის შესახებ და გვაცნობა, მხოლოდ, რომ ფეხბურთელთა მზადების პირველი ეტაპის გასაგრძელებლად დღეს მიემგზავრებიან ლესელიძეში, სადაც 3 თებერვლამდე დაჰყოფენ. ამის შემდეგ დინამოელები დაბრუნდებიან თბილისში, სადაც 15 მარტს სსრ კავშირის თასზე შეხვდებიან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს". შემდეგ კი კვლავ ლესელიძე — ვარჯიში, საკონტროლო მატჩები და... ახალი, 35-ე ჩემპიონატი.

ო. ნოზაძე.







სურათებზე: ზემოთ — ა. კოტრიკაძე მეცადინეობის გეგმას უხსნის ფეხბურთელებს; ქვემოთ, მარცხნივ — ვარჯიშობს მ. ხურცილავა, მარჯვნივ — მომენტი ორმხრივი თამაშიდან (დ. ყიფიანი და კ. ასათიანი).

ბ. დოლენჯაშვილის ფოტო.

## ასპარეზობენ პატარა ოსტატები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრების მესამე დღე იყო.

მხოლოდ ერთმა მატჩმა მოგვიტანა დიდი ანგარიში — 6:2. ამ შედეგით განათლების განყოფილების პირველმა გუნდმა — „კოლხეთმა" სძლია თავისსავე მეორე კოლექტივს — „მერცხალს". „დინამოს" მეორე გუნდმა „ივერიის" კარში სამი ბურთი გაიტანა, მაგრამ საკუთარში მიიღო ოთხი და დამარცხებულმა დატოვა სარბიელი — 3:4.

ერთნაირი ანგარიშით — 2:1 ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის პირველმა გუნდმა — „ივერიამ" და „ვარძიამ" („ლოკომოტივის" პირველი გუნდი) დაამარცხეს, შესაბამისად, „დინამო-1" და „ისანი".

ორი მატჩი დამთავრდა ფრედ: „ლიახვმა" და ვლდანის სკოლა-ინტერნატის მეორე გუნდმა ვერა და ვერ შესძლეს ანგარიშის გახსნა, ხოლო „ისანმა" და „ბელურამ" 3-3 ბურთი გაიტანეს.

# სიყვარულით ნათქვამი...

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ქართული პოეზიის შესახებ

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა" გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული პოეზიის ანთოლოგია და სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული.

მკითხველებს გავახსენებთ ზოგიერთ დეტალს:

„ქართული პოეზია რვა საუკუნის მანძილზე", — ასეთი სათაურით გამოვიდა 334 გვერდიანი წიგნი, რომელშიც შევიდა 45 პოეტის 125 ნაწარმოები, შოთა რუსთაველიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდელ დღემდე. კრებულში შევიდა აგრეთვე ქართული ხალხური პოეზიის 11 ნიმუში. ამ ანთოლოგიის გამოცემას ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირი და საქართველოს კულტურის სამინისტრო. მთელი ანთოლოგია თარგმნეს გერმანელმა პოეტებმა ადოლფ ენდლერმა და რაინერ კირშმა ნელი ამაშუკელისეული ბწკარედებიდან. წიგნს თან ერთვის ადოლფ ენდლერის წინასიტყვაობა (50 გვ.), ანთოლოგიაში შესული პოეტების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები (შემდგენელი რ. კვერენჩხილაძე).

ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოსვლამდე რამოდენიმე ხნით ადრე ამავე გამომცემლობაში გამოვიდა ცნობილი ქართველი პოეტისა და ესეისტის სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი „ჰადრების ორნამენტში", რომელშიც შევიდა პოეტის 40 ლექსი, ლექსები თარგმნა რვა გერმანელმა ცნობილმა პოეტმა. წიგნი შეადგინა, ბოლოსიტყვისათვის მასალები მოამზადა და კომენტარები დაურთო ნოდარ რუხაძემ.

ასეთი იყო გერმანელი კოლეგების საჩუქარი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, რომელსაც დიდი მონდომებითა და ენერგიის დაუზოგავად ამზადებდნენ ჩვენი გერმანელი მეგობრები ლეონჰარდ კოშუტი, უტა პაპენდიკი და ილზე კრეციგი.

სულ ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირში გდრ-დან მოვიდა დიდი პაკეტი, რომელშიც მოთავსებულია ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე გერმანიის სხვადასხვა ქალაქების გაზეთებში დაბეჭდილი რეცენზიები და ანოტაციები.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის გრიგოლ აბაშიძისადმი მიმართულ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ გამომცემლობის დირექტორი იურგენ გრუნერი და ჩვენთვის უკვე ცნობილი, გამომცემლობის მთავარი რედაქტორი კოშუტი, ნათქვამია:

„ღრმად პატივცემულო გრიგოლ აბაშიძე! ჩვენ ძალიან გვიხარია წიგნის „ქართული პოეზია რვა საუკუნის მანძილზე" — წარმატება. იმას, რომ თქვენი პოეზია კარგად მიიღეს ჩვენს რესპუბლიკაში, მოწმობს ეს სტატიების ნაკრებიც..."

თავისთავად იგულისხმება, რომ გერმანელი მკითხველებისათვის გათვალისწინებული წერილები ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე, ჩვენთვის ბევრ ნაცნობ ფაქტს შეიცავს და ამიტომ რეცენზიებში მეტი წილი ადგილები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს სტრიქონები შეეხება საქართველოს, მის წარსულსა და დღევანდელ დღეს.

თითქმის ყველა გაზეთის რეცენზენტი იმ ისტორიული წიაღსვლის შემდეგ, რაც უშუალოდ საქართველოს შეეხება ანტიკურობიდან მოყოლებული დღევანდლამდე, დაბეჯითებით კითხულობს: — რა და რამდენი ვიცით ჩვენ საქართველოს შესახებ?

და აი პასუხი ამ კითხვაზე, რომელსაც რეცენზენტები აქვეყნებენ გდრ-ის გაზეთებში: „მერკიშე ფოლკსშტიმე" — ეს წიგნი ხელს გვიწყობს ფართო წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს ლანდშაფტზე, საქართველოს ისტორიაზე და ქართულ კულტურაზე, რაც არც ერთ, დღემდე გერმანულ ენაზე არსებულ სხვა ლიტერატურულ შრომას ეს არ გაუკეთებია.

შემდეგ კი იგივე გაზეთი ხოტბას ასხამს ქართულ პოეტურ სტრიქონებს რვა საუკუნის მანძილზე რომ წარმოშობილა და გერმანელებისათვის დღემდე გაუგონარი და თვალით უნახავი სამყარო გადაუშლიათ თვალწინ.

„შვერინერ ფოლკსცაიტუნგი" (შვერინი), — რუსთაველის ვეფხისტყაოსნიდან მოყოლებული თანამედროვე ლირიკის ჩათვლით, ადოლფ ენდლერის, რაინერ კირშის და ჰერმან ბუდეზიგის თარგმანების წყალობით ჩვენ ვეცნობით ქართველი ხალხის დიდსა და მომხიბლავ ისტორიას...

გაზეთი „ვოხენპოსტი" (ბერლინი). მკითხველებს მოკლედ აცნობს საქართველოს თავგადასავლულ ისტორიას და აწმყოს, აუწყებს ასეთი საინტერესო ანთოლოგიის გამოსვლას, რომელშიც მათ შეუძლიათ გაიცნონ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდლამდე ცნობილი პოეტებისა და აგრეთვე უცნობი ავტორების (იგულისხმება ქართული ხალხური პოეზია) სტრიქონები, იქვე ბეჭდავს იოსებ გრიშაშვილის „ძორწილი ჩვენს უბანში" და იოსებ ნონეშვილის „გამოგონია მთვარიან ღამეს".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი გაზეთი მკითხველებს პირდაპირ სთავაზობს ამა თუ იმ ქართველი პოეტის ლექსს და იქვე შენიშნავს, ეს ლექსი ამოღებულია გერმანულად დაბეჭდილი ქართული პოეზიის ანთოლოგიიდანო.

გაზეთები თუ ჟურნალები ერთხმად აღიარებენ, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიის გაცნობით გერმანელი მკითხველები გაეცნენ ახალ სამყაროს, მათთვის უჩვეულოს და დღემდე უცნობს, დღემდე უხილავს, რომელიც შეიძლება თავისი მოულოდნელი აღმოჩენით შევადაროთ მხოლოდ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას. რეცენზენტები მადლობას უხდიან ამ წიგნის გამოცემის მესვეურებს და განსაკუთრებით მთარგმნელებს, რომელთა წყალობით შესაძლებელი გახდა საქართველოს ლანდშაფტის, ისტორიის, კულტურის პლასტიკურად ხელის შეხება.

როგორც უკვე ზევითაც აღვნიშნეთ, ბევრი რეცენზია გამოქვეყნდა გდრ-ში ს. ჩიქოვანის ლექსების კრებულზეც, რომლებიც მიიღო ნ. რუხაძემ. ლეონჰარდ კოშუტი იწერება — „ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით რამდენიმე ახალ რეცენზიას სიმონ ჩიქოვანის წიგნზე „ჰადრების ორნამენტში". (ამ რამდენიმე თვის წინათ იმავე ლეონჰარდ კოშუტმა კიდევ გამოგზავნა რეცენზია).

როცა ს. ჩიქოვანის ლექსების კრებულის შესახებ გდრ-ის პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებს ფვალს გადაავლებთ, მაშინვე შენიშნავთ, თითქმის ყველა გაზეთი და რეცენზენტი შეძლებისდაგვარად დაწვრილებით გადმოსცემს ს. ჩიქოვანის ბიოგრაფიას და ზოგიერთი მათგანი პოეტის შემოქმედების ანალიზისას ისე შორს მიდის, რომ ს. ჩიქოვანის რეალიზმის დასახასიათებლად პოეტის ავტობიოგრაფიისა და ქვეყნის ისტორიულ წიაღსვლებს იშველიებს. ქართული პოეზიის ანთოლოგიის განხილვისას არ ხერხდება კონკრეტულზე ლაპარაკი, რადგან რვა საუკუნე მრავალ პოეტს და უფრო მრავალ ლექსს აწვდის მკითხველებს. ს. ჩიქოვანის ლექსების კრებული კი, როგორც იტყვიან მწერლის სახეს უფრო ნათლად აჩენს და რეცენზენტებიც უფრო დაწვრილებით ლაპარაკობენ პოეტზე, მის შემოქმედებაზე, რადგან ს. ჩიქოვანის ათასმა სტრიქონმა სალაპარაკო გაუჩინა პოეზიის მოყვარულებს.

„ტრიბუნე" (ბერლინი), — ჩიქოვანის ლექსების კრებული აღსავსეა იმ ქვეყნის სახელითა და ნიშნებით, სადაც ს. ჩიქოვანი პოეტი გახდა — ეს არის საქართველო.

„ლაუზიტცერ რუნდშაუ" (კოტბუსი), — როცა სიმონ ჩიქოვანის ლექსებს კითხულობთ, გრძნობთ საქართველოს მხურვალე, ვნებიან სუნთქვას... ყველას, ვინც კი ამ თემაზე მდგარა, ვისაც ამ მდინარეებისათვის უცქერია უყურია, ანდა ამ ქალაქებში ყოფილა, დაგვიმოწმებს რაოდენ პლასტიკურად და უხვფეროვნად ცოცხლდება ამ ლექსების კითხვისას მისი მოგონებები.

„ზონტაგი" (ბერლინი), მაღალ შეფასებას აძლევს ფრიც მირაუ ს. ჩიქოვანის პოეზიას, რომელიც რეცენზენტის აზრით ქართული კლასიკური ტრადიციების კარგი გაგრძელებაა.

ასეთივე აზრისანი არიან „ოსტზეე ცაიტუნგის" (როსტოკი), „მორგენის" (ბერლინი), „ვოხენპოსტის" (ბერლინი) და სხვ. რეცენზენტები. ეს გაზეთები გარდა რეცენზიებისა, აქვეყნებენ ს. ჩიქოვანის ლექსებსაც.

მასალა ძალიან ბევრია, უამრავი გაზეთის ამონაჭრები აწყვია ჩვენს წინ, რომლებშიც ერთი რამ ყველაზე მეტად არის საინტერესო: ქართული პოეზიით აღფრთოვანებული გერმანელი მკითხველები დიდ მადლობას უთვლიან მის შემქმნელ ხალხს, გამომცემლობას და ყველას მათ, ვინც მკითხველამდე მიიტანა ქართული პოეზიის მომხიბლავი ნიმუშები.

ნ. მშვილდაძე.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

### 20 იანვარი

#### პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია, „ტანვარჯიში ყველასათვის" (გადმოცემა მოსკოვიდან), — 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის „მხიარული გასეირნება", მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა რუმინეთიდან), 11.00 — სატელევიზიო ფილმი „ხელმოცარული ფანოსი", 11.30 — ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა უკრაინა", 12.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 13.30 — სატელევიზიო დადგმა „ორშაბათს გაცოცხლდა", 14.20 — 30 წუთი კინოს მოყვარულთათვის, 14.50 — დოკუმენტური ფილმი „მოთხრობები კომუნისტებზე" — ქართულ ენაზე, 15.40 — გადაცემა „თურქმენეთის კინოხელოვნება", 16.20 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შესძლეთ იყოთ ჯანმრთელი", 19.00 — მოსწავლეთათვის. „დღიური კომკავშირელის ცხოვრებიდან", 19.20 — „მსოფლიო დღეს", 19.45 — „ეთერშია ახალგაზრდობა". „კომკავშირი და წარმოება", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — კოლაუ ნადირაძე, 21.15 — „ბალეტის საღამო", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. „ცისფერ ეკრანზე". 31 დეკემბრის გადაცემის გამეორება (გადმოცემა მოსკოვიდან).

#### მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — „საქართველოს ისტორია", 18.55 — კონცერტი, 19.40 — სატელევიზიო დადგმა. „დინოზავრი" (I ნაწილი), 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი" (II სერია).

### 21 იანვარი

#### პირველი პროგრამით

10.05 — ბავშვებისათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — დოკუმენტური ფილმი „სტოკჰოლმი, რომელსაც ახსოვს ლენინი", 11.30 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი „თავადის ქალი მერი", 13.40 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 14.00 — კინოაფიშა, 14.30 — კინოპროგრამა: „თანასწორუფლებიანთა კავშირი" და „პირველი შემსრულებელი", 15.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. საბავშვო კინოალმანახი „მინდა ყველაფერი ვიცოდე", 16.00 — თბილისის პირველობა „მინი-ფეხბურთში". ფინალური მატჩის რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან, 17.00 — კინონარკვევი — „ახლა კი საიანები" 17.15 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.20 — ბავშვებისათვის სატელევიზიო ჟურნალი „საპონელა", 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა; 19.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მულტპანორამა", 20.35 — მსახიობის გახსენება, 21.15 — რეპორტაჟი კრემლის ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმიდან და ბინიდან, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „ლენინი ოქტომბერში".

#### მეორე პროგრამით

18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურთა ალმანახი" № 64, 18.25 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი" (III სერია), 19.45 — კონცერტი, 20.25 — სატელევიზიო დადგმა „დინოზავრი" (II ნაწილი).

## თეატრები

### 20 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-კიხოტი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლხეთის ცისკარი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დღის წესრიგშია ერთი საკითხი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანას ქოშები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი აკადემიის პროფესორი

იოსებ ილიას-ძე ბაბაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 11256

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.